

ფინანსური განათლებისა და ჩართულობის კვლევის ანგარიში



ანგარიში მომზადებულია შპს სონარის მიერ
საქართველოს ეროვნული ბანკის დაკვეთით

კვლევის მეთოდოლოგია შემუშავებულია
ეკონომიკური თანამშრომლობისა და
განვითარების ორგანიზაციის/ფინანსური
განათლების საერთაშორისო ქსელის
(OECD/INFE) მიერ

პროექტი განხორციელდა ევროპული ფონდის
სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის
განვითარების პროგრამის (EFSE DF)
მხარდაჭერით



2016 წლის ნოემბერი
საქართველო

სარჩევი

მოკლე შინაარსი.....	2
კვლევის ძირითადი მიგნებები.....	3
შესავალი	8
ფინანსური განათლების დონე	9
ანალიზის მეთოდები	9
ტექნიკური ინფორმაცია	9
ფინანსური ცოდნა.....	10
პასუხები ფინანსური ცოდნის შემამოწმებელ ცალკეულ შეკითხვებზე.....	11
ფინანსური ქცევა	14
დებულებები ქცევების შესახებ.....	14
რამდენიმე პასუხის კომბინაციით წარმოებული ინდიკატორები	15
ფინანსური დამოკიდებულებები.....	20
ფინანსური განათლების საერთო მაჩვენებელი.....	22
სასესხო ვალდებულებები და ვალის ტვირთი	26
დაზოგვის კულტურა	32
ფინანსური მიზნები.....	36
საპენსიო თავდაჯერებულობა	41
მოულოდნელი ფინანსური გამოწვევებისთვის მზაობა	45
ფინანსური პროდუქტების ცნობადობა და გამოყენება	46
თაღლითობის შემთხვევები	49
ეკონომიკური სტატუსი	50
მოსახლეობის სეგმენტაცია ფულის მართვის სტილის მიხედვით.....	51
დასკვნითი დებულებები.....	58
დანართი 1: დემოგრაფიული მონაცემები	61
დანართი 2: სტატისტიკური ანალიზის მოდელების აღწერა	64
ფაქტორული ანალიზის განმარტება	64
შესაბამისობის ინდექსის (Affinity Index) განმარტება	65
გამოყენებული ლიტერატურა	66

მოკლე შინაარსი

უკანასკნელ წლებში, ფინანსური განათლება ფართოდ იქნა აღიარებული, როგორც ფინანსური კეთილდღეობის არსებითი კომპონენტი; შესაბამისად, მსოფლიო მასშტაბით, ფინანსურ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს დარგობრივი პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეს ტენდენცია საქართველოსთვისაც დამახასიათებელია – ფინანსური განათლება ჯანსაღი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების წინაპირობად განიხილება, ხოლო ფინანსურად განათლებული ადამიანები ფინანსური სექტორის ინფორმირებულ მომხმარებლებად მიიჩნევიან. ამრიგად, ფინანსური განათლება ზოგადად ფინანსური სტაბილურობისთვისაც მნიშვნელოვანია.

ფინანსური განათლებისა და ჩართულობის¹ კვლევა საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით, ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის განვითარების პროგრამის (EFSE DF) მხარდაჭერითა და კვლევითი ორგანიზაცია სონარის მონაწილეობით განხორციელდა. წინამდებარე კვლევა საყურადღებოა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განავითარა, რამდენადაც კვლევის ამოცანას სწორედ ფინანსური განათლების მიმართულებით არსებული მდგომარეობის რეალისტურად შეფასება, სტრატეგიის ფარგლებში სწორი აქცენტების განსაზღვრა და სტრატეგიის დანერგვის შედეგად მიღწეული პროგრესის შეფასების გზების ძიება წარმოადგენს. კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელის (OECD/INFE) ფინანსური განათლებისა და ფინანსური ჩართულობის გაზომვის 2015 წლის სახელმძღვანელოს ეფუძნება.² საქართველოში შეგროვებული მონაცემები OECD/INFE-ს 2016 წლის საერთაშორისო შედარებითი ანგარიშის ნაწილია.³

წინამდებარე კვლევის მიზანია მოსახლეობის ფინანსური ცოდნის, ქცევისა და დამოკიდებულების შეფასების გზით ქვეყნის მასშტაბით ფინანსური განათლების ქულის გამოყვანა; ფინანსური პროდუქტების ცოდნისა და გამოყენების ხარისხის განსაზღვრა; ფულის მართვისადმი რესპონდენტთა მიდგომების შესწავლა და დამატებით, შინამეურნეოების ვალის მიახლოებითი დონის განსაზღვრა.

კვლევის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით პირისპირ გამოკითხვის მეთოდით 1100 რესპონდენტი (ასაკი: 18+) გამოიკითხა. შერჩევის მეთოდად სტრატეგიული კლასტერული შერჩევა იქნა გამოყენებული. შერჩევა რეგიონებისა და დასახლების ტიპის მიხედვით განხორციელდა. შერჩევის წერტილები მოსახლეობის პროპორციულად, ხოლო რესპონდენტები – შინამეურნეოებში შემთხვევითი შერჩევით, 'ბოლო დაბადების დღის პრინციპზე' დაყრდნობით შეირჩნენ. საველე

¹ ფინანსური ჩართულობა სხვადასხვა წყაროების მიერ განიმარტება, როგორც ფინანსური მომსახურებების ფართო სპექტრის ხელმისაწვდომობა მთელი მოსახლეობისთვის, მათ შორის, დაბალშემოსავლიანი სეგმენტებისთვის, პროდუქტების გამჭვირვალობისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით. ფინანსური განათლება ფინანსური ჩართულობის აუცილებელი კომპონენტია, რამდენადაც ფინანსური განათლება ხელს უწყობს მომხმარებლებს მიიღონ გონივრული ფინანსური გადაწყვეტილებები ფინანსურ სისტემასთან ურთიერთობისას.

² იხ. OECD/INFE-ს სახელმძღვანელო შემდეგ ბმულზე: http://www.oecd.org/daf/fin/financial-education/2015_OECD_INFE_Toolkit_Measuring_Financial_Literacy.pdf

³ იხ. საერთაშორისო შედარებითი ანგარიში შემდეგ ბმულზე: <http://www.oecd.org/daf/fin/financial-education/OECD-INFE-International-Survey-of-Adult-Financial-Literacy-Competencies.pdf> შენიშვნა: OECD-ს ანგარიშში მხოლოდ 18–დან 79 წლამდე ასაკის რესპონდენტების პასუხებია გათვალისწინებული.

სამუშაოები 2016 წლის 1 აპრილიდან 25 აპრილამდე ჩატარდა. მონაცემები რეგიონის, ასაკისა და სქესის მიხედვითაა შეწონილი.

რესპონდენტთა პასუხებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა ფინანსური განათლების ქულის გამოყვანა. ფინანსური განათლება ცოდნის, ქცევებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობას წარმოადგენს; შესაბამისად, ფინანსური განათლების ქულა ამ სამი კომპონენტის ქულების დაჯამებით მიიღება. ფინანსური ცოდნის ქულას 0-დან 7-მდე, ქცევის ქულას – 0-დან 9-მდე, ხოლო დამოკიდებულების ქულას – 1-დან 5 ქულამდე ნებისმიერი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს. ამრიგად, ფინანსური განათლების საერთო ქულა 1-დან 21-მდე შეიძლება მერყეობდეს. შესაძლებელია მიღებული ქულის 100-მდე ნორმირებაც, მისი 100/21-ზე გამრავლებით.

საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების საერთო მაჩვენებელი 21-ქულიან შკალაზე 12.3 ქულას, ხოლო 100-ქულიან შკალაზე – 58.8 ქულას შეადგენს. წინამდებარე კვლევის ფარგლებში თვალსაჩინოებისთვის ორივე შკალაა წარმოდგენილი.

ფინანსური ცოდნა (მაქს: 7)	ფინანსური ქცევა (მაქს: 9)	ფინანსური დამოკიდებულება (მაქს: 5)	ფინანსური განათლება (21-ქულიანი შკალა)	ფინანსური განათლება (100- ქულიანი შკალა)
4.5	5.0	2.8	12.3	58.8

კვლევის ძირითადი მიგნებები

- **ფინანსური ცოდნა:** საქართველოს მოსახლეობის ფინანსური ცოდნა საშუალო დონეზეა: რესპონდენტთა უმრავლესობას შეუძლია მარტივი კალკულაციების გაკეთება პროცენტის გამოსათვლელად (94%), და სწორად ესმის ისეთი ძირითადი ფინანსური ცნებები, როგორიცაა ინფლაცია (85%) და რისკი და ამონაგები (79%). მოსახლეობის უფრო მცირე ნაწილისთვისაა ცნობილი ფულის ღირებულება დროში (60%) და დივერსიფიკაციის ცნება (63%), ხოლო ანაბარზე „მარტივი“ პროცენტის დაანგარიშება (51%) და პროცენტის დარიცხვის რთული მეთოდის გავლენის გამოთვლა (46%) გამოკითხულთა ნახევრისთვის სირთულეს წარმოადგენს. მთლიანობაში, ნათლად ვხედავთ, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა პასუხს სწორად სცემს მარტივ შეკითხვებზე; თუმცა, შედარებით რთული საკითხები რესპონდენტებისთვის გამოწვევად რჩება.
- **ფინანსური ქცევა:** გონივრული ფინანსური ქცევა ფინანსური კეთილდღეობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. წინამდებარე კვლევამ შეისწავლა მოსახლეობისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ქცევა, მათ შორის, ხარჯების დაგეგმვა, ფულის შენახვა/დაზოგვა და ფინანსური პროდუქტებით სარგებლობა, როგორიცაა სესხი და დეპოზიტი. საქართველოს მოსახლეობის ფინანსური ქცევა შეიძლება შეფასდეს, როგორც

შერეული: ფიქსირდება რიგი პასუხისმგებლობით აღსავსე ქცევები, როგორიცაა გადასახადების დროულად გადახდა (89%) და პირადი ფინანსების კონტროლი (75%); ამასთან, გასული წლის განმავლობაში რესპონდენტთა 38%-მა ამა თუ იმ ფორმით შეინახა ფული. თუმცა, მოსახლეობის მხოლოდ 41% ისახავს გრძელვადიან ფინანსურ მიზნებს და ისწრაფვის მათ მისაღწევად, რესპონდენტთა 45% კი თავის გასატანად ფულს სესხულობს. საყურადღებოა, რომ რესპონდენტები, რომლებიც შემოსავლისა და ფინანსური განათლების დაბალი დონით ხასიათდებიან, ფულს ძირითადად სახლში ინახავენ და ნაკლებად მიმართავენ ფულის დაზოგვის ფორმალურ გზებს. შემოსავლისა და ფინანსური განათლების დონის ზრდასთან ერთად, უმჯობესდება დაზოგვის მიზნით საბანკო ანგარიშებისა და საინვესტიციო პროდუქტების გამოყენების მაჩვენებელიც. რესპონდენტებს, რომლებიც ფულს საინვესტიციო პროდუქტების შეძენის გზით ან შემნახველ ანაბარზე ინახავენ, შედარებით მაღალი შემოსავალი და ფინანსური განათლების ქულა აქვთ. ამრიგად, იკვეთება მნიშვნელოვანი კავშირი, ერთი მხრივ, ფულის დაზოგვის ფორმალური გზების გამოყენებასა და მეორე მხრივ – ფინანსური განათლებისა და შემოსავლის დონეებს შორის.

- **ფინანსური პროდუქტების ცნობადობა და გამოყენება:** მოხმარების მიხედვით ყველაზე გავრცელებული ფინანსური პროდუქტებია: განვადება, მიმდინარე ანგარიში, სალომბარდო სესხი და საბანკო სესხი. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტებს სმენიათ ფინანსური პროდუქტების უმრავლესობის შესახებ, სავარაუდოა, რომ მათ კარგად არ ესმით ამ პროდუქტების თავისებურებანი, რაც ხშირად არაზუსტი პასუხების გაცემასა თუ პროდუქტების არაინფორმირებულ არჩევას იწვევს. გამოკითხულთა 29.7%-მა განაცხადა, რომ ფინანსურ პროდუქტებს არ იყენებს, რაც შესაძლოა არაზუსტი მაჩვენებელი იყოს, განპირობებული იმ გარემოებით, რომ ბევრი მომხმარებელი კარგად ვერ იაზრებს, რომ ამა თუ იმ პროდუქტით სარგებლობს (მაგალითად, მიმდინარე ანგარიშით) მაშინ, როცა სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების (მაგ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2016 წლის Financial Access Survey) მიხედვით, საქართველოში ფინანსური პროდუქტების სარგებლობის მაჩვენებელი არ არის დაბალი. აღნიშნულს უფრო დეტალურად წინამდებარე კვლევის შესაბამის ქვეთავში შეგიძლიათ გაეცნოთ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რესპონდენტები შესაძლოა ხშირად თავს იკავებდნენ საკუთარი ფინანსური ვალდებულებებისა და დანაზოგების დეტალურად განხილვისგან. დაბოლოს, წინამდებარე კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ ფინანსური პროდუქტების შეძენისას, ბევრი რესპონდენტი არ ცდილობს კონკურენტული ფასის მოძიებას (“shop around”) მიუხედავად იმისა, რომ ამის შესაძლებლობა აქვს, რაც საყურადღებო პრობლემაა.
- **ფინანსური დამოკიდებულებები:** ფინანსების მიმართ ადამიანთა დამოკიდებულებები და პრიორიტეტები მათ ქცევებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს. ფინანსური ქცევების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსახლეობის მხოლოდ 32% ანიჭებს მეტ უპირატესობას ფულის შენახვას, ვიდრე მის ხარჯვას და უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ფული იმისთვისაა, რომ დაიხარჯოს. გარდა ამისა, რესპონდენტთა 66%, გრძელვადიანი გეგმების შესრულების ნაცვლად, უპირატესობას მოკლევადიანი ფინანსური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ანიჭებს, რაც შეშფოთებას იწვევს ფინანსური უსაფრთხოებისა და მდგრადობის თვალსაზრისით.
- **ფინანსური განათლება ზოგადი განათლების დონის, შემოსავლის ჯგუფის, დასაქმების სტატუსის, ასაკისა და დასახლების ტიპის მიხედვით:** ფინანსური განათლება მნიშვნელოვანი წინაპირობაა ფინანსური კეთილდღეობისა თუ პროფესიული წარმატების

მისაღწევად. საილუსტრაციოდ, უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტებმა ფინანსური განათლების უფრო მაღალი ქულა მიიღეს (100-დან 62.0), ვიდრე საშუალო სკოლადამთავრებულებმა (57.1) და მათ, ვისაც ტექნიკური/პროფესიული განათლება აქვთ მიღებული (57.8); რაც უფრო მაღალია ფინანსური განათლება, მით უფრო მაღალია შინამეურნეობის შემოსავალი: რესპონდენტებმა, რომელთა შინამეურნეობის შემოსავალი თვეში 901 ლარს აღემატება, 63.6 ქულა მიიღეს, მაშინ, როდესაც რესპონდენტებმა, რომელთა შინამეურნეობის ყოველთვიური შემოსავალი 550 ლარზე ნაკლებია, 56.0 ქულა; დასაქმებულმა მოსახლეობამ ფინანსური განათლების უფრო მაღალი ქულა მიიღო (62.7), ვიდრე დაუსაქმებელმა თანამოქალაქებმა (56.6). პროფესიულ ჭრილში, მენეჯერებმა (მათ შორის, კანონმდებლებმა და მაღალი რანგის თანამდებობის პირებმა) და სპეციალისტებმა ქვეყანაში ყველაზე მაღალი ქულები (70.9 და 65.4 ქულა, შესაბამისად), ხოლო ხელოსნებმა და მონათესავე ტიპის მუშახელმა და სასოფლო-სამეურნეო მუშახელმა – ყველაზე დაბალი ქულები დაიმსახურეს (56.8, და 54.0 ქულა, შესაბამისად). ამასთან, საინტერესოა ფინანსური განათლების დონის კავშირი ასაკთან და დასახლების ტიპთან: ქალაქად მცხოვრებმა მოსახლეობამ საშუალოდ უფრო მაღალი მაჩვენებელი დააფიქსირა (60.2), ვიდრე სოფლად მცხოვრებმა მოსახლეობამ (56.9), ხოლო ახალგაზრდა და საშუალო ასაკის თაობის წარმომადგენლებმა ასაკოვან მოსახლეობასთან შედარებით უფრო მაღალი ქულები მიიღეს.

- **საპენსიო ასაკისთვის მზაობა:** ბევრი რესპონდენტი საპენსიო ასაკისთვის ადეკვატურ ფინანსურ გეგმებს არ ადგენს. გამოკითხულთა მხოლოდ 29%-ია მეტნაკლებად დარწმუნებული, რომ სათანადოდ ემზადება პენსიაზე გასავლელად. პენსიაზე გასვლის შემდგომ, მოსახლეობის 66%-ს აქვს იმედი, რომ მათ ფინანსურად შვილები და ოჯახის სხვა წევრები უზრუნველყოფენ, ხოლო 73% სახელმწიფო პენსიის იმედად არის. არსებითად, სახელმწიფო პენსია ქვეყანაში საპენსიო ასაკისთვის ძირითად ფინანსურ დასაყრდენს წარმოადგენს.
- **გაუთვალისწინებელი ფინანსური შემთხვევებისთვის მზაობა:** გაუთვალისწინებელი ფინანსური სირთულეებისთვის მზაობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფინანსურ მიზნად მოიაზრება, თუმცა ეს მიზანი საქართველოში საკმარისად გავრცელებული არ არის. კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში, მოსახლეობის 62%-მა გამოსცადა შემოსავლის უკმარისობა და 45%-მა ისესხა ფული თავის გასატანად.
- **ფინანსური მიზნები:** საქართველოში გამოკითხულთა 57%-ს ერთი ფინანსური მიზანი მაინც აქვს, ხოლო 41% საერთოდ არ ისახავს ფინანსურ მიზნებს. ფინანსური მიზნის მქონე რესპონდენტებმა უფრო მაღალი ფინანსური განათლების ქულა მიიღეს, ვიდრე მათ, ვისაც ფინანსური მიზნები არ აქვთ. საყურადღებოა, რომ ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილისთვის ფინანსურ მიზანს გარდაუვალი, მოკლევადიანი ხარჯების დაფარვა წარმოადგენს და შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ადამიანებმა დაისახონ გრძელვადიანი ან ძვირადღირებული მიზნები; მოსახლეობაში ყველაზე გავრცელებული ფინანსური მიზნებია: მიმდინარე სასესხო ვალდებულებების დაფარვა (28%), საკვების შეძენა (25%), და კომუნალური გადასახადების გადახდა (24%).
- **სესხების არხები:** საქართველოს მოსახლეობისთვის სესხის ყველაზე გავრცელებულ წყაროს მეგობარი/ახლობელი და ბანკი წარმოადგენს: გამოკითხულთა 42%-ს აქვს მეგობრის უპროცენტო ვალი, ხოლო 39%-ს – სესხი ბანკიდან. გავრცელებულობის მიხედვით, საბანკო სესხს მოსდევს სალომბარდო სესხი (18%), ე.წ. „ონლაინ“ სესხი (12%), და სესხი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან (11%). ზოგადად, სესხით სარგებლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საშუალოშემოსავლიან სეგმენტში ფიქსირდება, და მას შედარებით მაღალშემოსავლიანი სეგმენტი მოსდევს. ახლობლისგან სესხება ყველაზე მეტად დაბალ და საშუალოშემოსავლიან რესპონდენტებშია გავრცელებული, და ამდენად, სავარაუდოა, რომ უპროცენტო სესხი უმეტესად მცირე მოცულობით გაიცემა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის იმ სეგმენტში, რომლის შინამეურნეობის ყოველთვიური შემოსავალიც 550 ლარს არ აღემატება, სესხების არც ერთი ფორმალური წყარო განსაკუთრებული პოპულარობით არ სარგებლობს. დაბოლოს, იმის აღბათობა, რომ რესპონდენტის შინამეურნეობას⁴ ჰქონდეს სესხი, რესპონდენტის განათლების დონისა, დასაქმების სტატუსისა და ეკონომიკური სტატუსის გაუმჯობესების შესაბამისად იზრდება; საილუსტრაციოდ, უმაღლესი განათლების მქონეთა 55%-სა და დასაქმებულთა 68%-ს აქვს სესხი შინამეურნეობაში, მაშინ, როცა იგივე შეიძლება ითქვას არასრული საშუალო განათლების მქონეთა მხოლოდ 43%-სა და დაუსაქმებელთა 44%-ზე.

- **შინამეურნეობების ვალის ტვირთი:** მოსახლეობის მიახლოებითი ვალის ტვირთის შეფასების მიზნით საინტერესოა სხვადასხვა შემოსავლის მქონე შინამეურნეობებს შორის სესხის მომსახურების კოეფიციენტების (სესხზე გადასახადისა და შემოსავლის ფარდობა – Payment-to-Income ratio (PTI)) შედარება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ, შინამეურნეობის შემოსავლის დონის ზრდასთან ერთად, მოსალოდნელია PTI-ს ზრდაც, კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ საშუალოშემოსავლიან შინამეურნეობებს (რომელთა ყოველთვიური შემოსავალიც 551-სა და 900 ლარს შორის მერყეობს) ყველაზე მაღალი PTI აქვთ და შესაბამისად, ყველაზე მეტად არიან დატვირთულნი მიმდინარე ვალდებულებებით. აღნიშნული შედეგი შესაძლოა ნაწილობრივ განპირობებული იყოს იმით, რომ როგორც წინამდებარე კვლევამ გამოავლინა, საშუალოშემოსავლიანი შინამეურნეობები ფულს ხშირად ლომბარდებისა და ე.წ. „ონლაინ“ სესხების გამცემი ორგანიზაციებისგან სესხულობენ, რომლებიც საკუთარი მომხმარებლების გადახდისუნარიანობას შესაძლოა საერთოდ არ ამოწმებდნენ ან არ ამოწმებდნენ ისე ზედმიწევნით, როგორც ბანკები, რაც შედეგად ამ სეგმენტის მიერ სესხების ჭარბად აღებას გვაძლევს. გარდა ამისა, შინამეურნეობების ვალის ტვირთის განხილვისას საყურადღებოა ის ზოგადი გარემოებაც, რომ რესპონდენტებმა შესაძლოა არ გაამხილონ შემოსავლებისა და სესხების სრული მოცულობა, ან შესაძლოა არასაკმარისად ინფორმირებულნი იყვნენ შინამეურნეობის სხვა წევრების ვალდებულებებისა და შემოსავლების შესახებ.

წინამდებარე კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემები მნიშვნელოვანია ფინანსური განათლების მიმართულებით გარკვეული სტანდარტებისა და ორიენტირების დასახვისთვის, ასევე, ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში ცალკეული პროგრამების განვითარებისათვის. საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების საერთო დონე შეიძლება შეფასდეს, როგორც საშუალო, და გაუმჯობესება არაერთი მიმართულებით არის შესაძლებელი. წინამდებარე კვლევამ წარმოაჩინა, რომ ფინანსური განათლების დონე მკვეთრად

⁴ საქართველოს კანონის „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ მე-3 მუხლის (ი) პუნქტის თანახმად, შინამეურნეობა განისაზღვრება, როგორც „საზოგადოების ძირითადი მეურნეობრივი საყოფაცხოვრებო უჯრედი – ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ბიუჯეტით, (მისი ნაწილით), ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობებით. (შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი პირისაგანაც)“.

განსხვავდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში; შესაბამისად, იკვეთება დივერსიფიცირებული მიდგომების საჭიროება. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ მნიშვნელოვანი პროგრესის მისაღწევად, ფინანსური განათლების დონისძიებები მიმართული უნდა იყოს არამხოლოდ ცოდნის ამაღლებისკენ, არამედ ქცევებისა და დამოკიდებულებების პოზიტიურად ცვლილებისკენაც, რამდენადაც ამ მიმართულებებითაც იკვეთება ხარვეზები. დაბოლოს, ფინანსური განათლების დონის ამაღლება კომპლექსური ამოცანაა; შესაბამისად, მნიშვნელოვანია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობა და მრავალფეროვანი, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური არხების მეშვეობით მოსახლეობისთვის ფინანსური განათლების მიწოდების უზრუნველყოფა.

შესავალი

უკანასკნელი წლების განმავლობაში, ფინანსურმა განათლებამ მრავალი ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგში პრიორიტეტული ადგილი დაიკავა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელი (OECD/INFE) ფინანსურ განათლებას განსაზღვრავს, როგორც „ფინანსური ინფორმირებულობის, ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებებისა და ქცევების კომბინაციას, რომელიც აუცილებელია ჯანსაღი ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად და საბოლოო ჯამში, ინდივიდუალური ფინანსური კეთილდღეობის მისაღწევად“. პარალელურად, ფართოდ იქნა აღიარებული ზრდასრულ მოსახლეობაში ფინანსური განათლების დონის შესახებ ინფორმაციული, სარწმუნო მონაცემების შეგროვების მნიშვნელობა (OECD/INFE 2015).

ამ კვლევის შედეგად შეგროვებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ქვეყანაში ფინანსური განათლების არსებული დონე, მიგვითითებს თუ მოსახლეობის რომელი სეგმენტები საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას, გამოკვეთს ფინანსური განათლების გავრცელების მიმართულებით არსებულ ხარვეზებს, და გვჩვენებს დავსახოთ სტანდარტები და ორიენტირები როგორც მთლიანად ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის, ისე მის ფარგლებში განსახორციელებელი ცალკეული პროგრამებისთვის. მომავალში, განმეორებითი კვლევები დაგვჩვენებს განვსაზღვროთ, თუ სად შეინიშნება გაუმჯობესება და რა ღონისძიებები უნდა გატარდეს დამატებით.

წინამდებარე ანგარიში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD/INFE) „ფინანსური განათლებისა და ფინანსური ჩართულობის გაზომვის 2015 წლის სახელმძღვანელოს“ მიხედვით საქართველოში შეგროვებულ მონაცემებს ეყრდნობა. მონაცემები შეგროვდა მთელი ქვეყნის მასშტაბით 18 და 18 წელზე უფროსი ასაკის 1100 რესპონდენტის პირისპირ გამოკითხვის გზით. გამოყენებულ იქნა სტრატეგიული კლასტერული შერჩევის მეთოდი, შერჩევა კი რეგიონებისა და დასახლების ტიპების (ქალაქი/სოფელი) მიხედვით განხორციელდა. შერჩევის წერტილები მოსახლეობის პროპორციულად, ხოლო რესპონდენტები – შინამეურნეოებში შემთხვევითი შერჩევით, 'ბოლო დაბადების დღის პრინციპით' შეირჩნენ. სავსე სამუშაოები 2016 წლის 1 აპრილიდან 25 აპრილამდე პერიოდში ჩატარდა. მონაცემები რეგიონის, ასაკისა და სქესის მიხედვითაა შეწონილი.

OECD/INFE-ს სახელმძღვანელო შესაძლებელს ხდის შეგროვდეს ზრდასრული მოსახლეობის ქცევების, დამოკიდებულებებისა და ცოდნის შესახებ ქვეყნებს შორის შედარებადი ინფორმაცია და გამოყვანილ იქნეს ფინანსური განათლების დონის განმსაზღვრელი ქულები. საქართველოში შეგროვებული მონაცემები შეყვანილია OECD/INFE-ს 2016 წლის საერთაშორისო შედარებით ანგარიშში, რომელიც ქვეყნებს შორის მსგავსებებსა და საერთო გამოწვევებს გამოავლენს, და მიუთითებს რიგ ეფექტურ გადაწყვეტილებებზე.

ანგარიშში განხილულია ფინანსური განათლების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ძირითადი ფინანსური ცნებების ცოდნა და რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი; პირადი და შინამეურნეობის ფინანსების მართვა; ფინანსური მიზნების დასახვა და მათ მისაღწევად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა; დაზოგვა და ბიუჯეტირება; ფინანსური მოულოდნელობებისა და საპენსიო ასაკისთვის მზაობა; სესხება და ვალის მართვა; ფინანსური პროდუქტების ცნობადობა და გამოყენება, და სხვა. კვლევის ფარგლებში, OECD/INFE-ს კითხვარს დაემატა რამდენიმე

შეკითხვა ფინანსური პროდუქტებით სარგებლობის და შინამეურნეობების ვალის ტვირთის შესახებ, მოსახლეობის ფინანსური ჩართულობის მიახლოებითი დონის უკეთ განსასაზღვრად.

ფინანსური განათლების დონე

რესპონდენტების მიერ გაცემული პასუხების მიხედვით შესაძლებელი გახდა ქვეყანაში ფინანსური განათლების დონის შეფასება და ამ მიზნით პირობითი ქულების გამოყვანა. ფინანსური განათლება ფინანსური ცოდნის, ფინანსური ქცევებისა და ფინანსური დამოკიდებულებების ერთობლიობას წარმოადგენს. კვლევის ფარგლებში აღნიშნული კომპონენტები ცალ-ცალკე იქნა შესწავლილი და თითოეულს ინდივიდუალური ქულა მიენიჭა. ფინანსური ცოდნის დონე 7-ქულიანი შკალით შეფასდა ცოდნის შესამოწმებელი 7 ძირითადი შეკითხვის პასუხებზე დაყრდნობით, სადაც თითოეულ სწორ პასუხს 1 ქულა ენიჭება. ფინანსური ქცევის დონე შეფასდა 9-ქულიანი შკალით ქცევასთან დაკავშირებულ 9 სხვადასხვა შეკითხვასა და დებულებაზე დაფიქსირებული პასუხების მიხედვით. ფინანსური დამოკიდებულებები კი სამ ქცევით დებულებაზე გაცემული პასუხების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით 5-ქულიანი შკალით შეფასდა. ამ შემთხვევაში, რესპონდენტები საკუთარ დამოკიდებულებას (ანუ, რამდენად ეთანხმებოდნენ ამა თუ იმ დებულებას) 1-დან (სავსებით ეთანხმებოდნენ) 5-მდე (სრულად არ ეთანხმებოდნენ) ქულით აფასებდნენ.

ფინანსური განათლების საერთო დონის შემაჯამებელი ქულა ზემოაღნიშნული სამი ცალკეული ქულის დაჯამებით მიიღება (ცოდნა (7), ქცევა (9) და დამოკიდებულებები (5)). შესაბამისად, ფინანსური განათლების საერთო ქულას შეიძლება 1-დან 21-მდე ნებისმიერი მნიშვნელობა მიენიჭოს. შესაძლოა მიღებული ქულის 100-მდე ნორმირებაც, მისი 100/21-ზე გამრავლებით. წინამდებარე ანგარიშში გამოიყენება როგორც 21-ქულიანი, ისე 100-ქულიანი შკალა.

ანალიზის მეთოდები

ძირითად სიხშირულ ანალიზთან ერთად, წინამდებარე ანგარიშში გამოყენებულია ფაქტორული ანალიზი და ე.წ. შესაბამისობის ინდექსზე (Affinity index) დაფუძნებული ანალიზი. დანართ 2-ში წარმოდგენილია ამ ორი სტატისტიკური ანალიზის მოდელის აღწერა.

ტექნიკური ინფორმაცია

საველე სამუშაოების თარიღები	2016 წლის 1 – 25 აპრილი
შერჩევის ზომა	1100 რესპონდენტი
შერჩევის გეოგრაფია	მთელი ქვეყნის მასშტაბით
შერჩევის მეთოდი	- ასაკი: 18+ 1,100 რესპონდენტი - სტრატეგიცირებული კლასტერული შერჩევა: შერჩევის წერტილები მოსახლეობის პროპორციულად, შინამეურნეობების ზრდასრული წევრები კი შემთხვევითი, 'ბოლო დაბადების დღის' პრინციპით შეირჩნენ - რეგიონისა და დასახლების ტიპის მიხედვით (ქალაქი/სოფელი)
მონაცემთა შეგროვების მეთოდი	პირისპირ ინტერვიუები
მიყენებული წონები	- რეგიონი და დასახლების ტიპი - ასაკი - სქესი

ფინანსური ცოდნა

ფინანსური ცოდნა ფინანსური განათლების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რამდენადაც სარწმუნო ინფორმაციისა და გამოსადეგი ცოდნის ქონა ადამიანებს ფინანსური პროდუქტების შედარებასა და ადეკვატური, კარგად ინფორმირებული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება. ძირითადი ფინანსური ცნებების ცოდნა და არითმეტიკის გამოყენების უნარი მომხმარებელს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად აწარმოოს ფინანსური საქმიანობა და ადეკვატურად მოახდინოს რეაგირება იმ სიახლეებსა თუ მოვლენებზე, რომლებსაც მის ფინანსურ კეთილდღეობაზე გავლენის მოხდენა შეუძლია. ემპირიული მონაცემები მიუთითებს, რომ ფინანსური ცოდნის მაღალი დონე რეალურად ისეთ დადებით შედეგებთან/ქცევებთან ასოცირდება, როგორიცაა, მაგალითად, საპენსიო ასაკისთვის ფინანსური გეგმების შედგენა, და ისეთი ნეგატიური შედეგების თავიდან არიდებასთან, როგორიცაა ვალების ჭარბად დაგროვება.

ამრიგად, ფინანსურად განათლებულ ადამიანს ძირითადი ფინანსური ცნებების გარკვეული საბაზისო ცოდნა და არითმეტიკული უნარების ფინანსურ სიტუაციებში გამოყენების უნარი გააჩნია. წინამდებარე კვლევაში გამოყენებული კითხვარი ცოდნის შესამოწმებელ 7 შეკითხვას მოიცავს ისეთი ფინანსური ცნებების შესახებ, როგორიცაა: პროცენტის დარიცხვის მარტივი და რთული მეთოდები, რისკი და ამონაგები, ინფლაცია და ა.შ. ფინანსური ცოდნის შესამოწმებელი 7 შეკითხვა 1–ელ ცხრილშია მოცემული.⁵

ცხრილი 1. ცოდნის შესამოწმებელი კითხვები

კითხვის კოდი	ტექსტი	სავარაუდო პასუხები	მიზანი
QK2	წარმოიდგინეთ, რომ ხუთ ძმას მისცეს 1,000 ლარი საჩუქრის სახით. თუკი ძმებმა თანაბრად უნდა გაიყონ აღნიშნული თანხა, რამდენს მიიღებს თითოეული მათგანი?	ღია პასუხი [სწორი პასუხი 200 ლარი]	საბაზისო არითმეტიკული უნარ-ჩვევების შემოწმება ფინანსურ კონტექსტში
QK3	ახლა წარმოიდგინეთ, რომ ძმებმა უნდა დაიცადონ ერთი წელი 1000 ლარიდან თავიანთი წილის მისაღებად და ინფლაციის დონე ნარჩუნდება 5%-ზე. ერთი წლის შემდეგ, თავიანთი წილით, ისინი შეძლებენ შეიძინონ:	პასუხი რამდენიმე შესაძლო ვარიანტით [სწორი პასუხი: 'უფრო ნაკლებს, ვიდრე დღეს შეიძენდნენ' ან 'დამოკიდებულია იმაზე, თუ რისი შეძენა სურთ']	იმის შემოწმება, თუ რამდენად ესმის მოსახლეობას ინფლაციის გავლენა ფულის მსყიდველუნარიანობაზე
QK4	დავუშვათ, ერთ დღეს მეგობარს 25 ლარი ასესხეთ და მომდევნო დღეს მან 25 ლარი დაგიბრუნათ. რამდენი პროცენტი გადაიხდა მან ამ სესხზე?	ღია პასუხი [სწორი პასუხი: 'არცერთი'/0]	შემოწმდეს სესხზე პროცენტის გამოთვლის უნარი რთული არითმეტიკის გარეშე
QK5	დავუშვათ, რომ შეგაქვთ 100 ლარი დეპოზიტზე, რომელიც არ ითვალისწინებს რაიმე ტიპის გადასახადს ან საკომისიოებს. ამ დეპოზიტზე წელიწადში 2% გერიცხებათ. თქვენ ამ დეპოზიტზე არც დამატებით შენატანებს ახორციელებთ, და არც ფული გამოგაქვთ. რა თანხა დაგროვდება ამ დეპოზიტზე პირველი წლის ბოლოს, პროცენტის დარიცხვის შემდეგ?	ღია პასუხი [სწორი პასუხი: 102 ლარი]	შემოწმდეს დეპოზიტზე „მარტივი“ პროცენტის გამოთვლის უნარი

⁵ OECD/INFE-ს სახელმძღვანელოში ფინანსური ცოდნის ქვეშ თავდაპირველად 8 შეკითხვა ერთიანდებოდა. თუმცა, შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ 1–ლი შეკითხვა, რომლის მიზანიც გაყოფის უნარის შემოწმება იყო, ზოგიერთი ქვეყნისთვის ზედმეტად მარტივი აღმოჩნდა და მნიშვნელოვან ინფორმაციას არ იძლეოდა. ამიტომაც, ეს შეკითხვა არასავალდებულო ხასიათის გახდა. ჩვენ ეს შეკითხვა რესპონდენტებს მაინც დავუსვით (და მასზე მოსახლეობის 98%-მა სწორად უპასუხა), თუმცა ეს პასუხები ფინანსური ცოდნის ქულის გამოთვლაში არ გაგვითვალისწინებია.

QK6	და რა თანხა დაგროვდება ამავე დეპოზიტზე 5 წლის შემდეგ? [საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ: იმის გათვალისწინებით რომ არანაირი საკომისიო და სხვა სახის გადასახადი არ გერიცხებათ]. იქნება ეს...	პასუხი რამდენიმე შესაძლო ვარიანტით [სწორი პასუხი: '110 ლარზე მეტი'. გამოცნობით მიღებული სწორი პასუხების თავიდან აცილების მიზნით, QK6-ის დათვლისას გაითვალისწინება QK5 შეკითხვაზე გაცემული სწორი პასუხი]	შემოწმდეს, რამდენად აცნობიერებს რესპონდენტი „რთული“ პროცენტის დამატებით სარგებელს
QK7a	თუ ვინმე გთავაზობთ დიდი ფულის შოვნის შანსს, მაშინ სავარაუდოდ იმის შანსიც არსებობს, რომ ბევრი ფული დაკარგოთ.	სწორია/მცდარია [სწორი პასუხი: 'სწორია']	შემოწმდეს, ესმის თუ არა რესპონდენტს ტიპური კავშირი რისკსა და ამონაგებს შორის
QK7b	მაღალი ინფლაცია ნიშნავს, რომ მიმდინარე ხარჯები სწრაფად იზრდება.	სწორია/მცდარია [სწორი პასუხი: 'სწორია']	შემოწმდეს ტერმინ 'ინფლაციის' მნიშვნელობის გაგება
QK7c	ნაკლები შანსია მთელი თქვენი ფული დაკარგოთ, თუ მას ერთზე მეტ ადგილას შეინახავთ ან დააგროვებთ	სწორია/მცდარია [სწორი პასუხი: 'სწორია']	შემოწმდეს, ესმის თუ არა რესპონდენტს დივერსიფიკაციის სარგებლიანობა

მოცემული 7 შეკითხვა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის რესპონდენტის საბაზისო ფინანსური ცოდნის, მის მიერ ფინანსური ინფორმაციის ათვისებისა და კონკრეტულ პრობლემებთან მიმართებაში ამ ინფორმაციის გამოყენების უნარების შესახებ.

პასუხები ფინანსური ცოდნის შემამოწმებელ ცალკეულ შეკითხვებზე

ფინანსური ცოდნის ქულა რესპონდენტის მიერ 1-ელ ცხრილში მოცემულ შვიდ შეკითხვაზე გაცემული სწორი პასუხების დათვლის გზით მიიღება. OECD/INFE-ს მეთოდოლოგიის მიხედვით, 5 ან მეტი სწორი პასუხი (რაც გულისხმობს შეკითხვების სულ მცირე 70%-ზე სწორი პასუხის გაცემას) განისაზღვრება, როგორც ფინანსური ცოდნის მაღალი დონე. საქართველოს შემთხვევაში რესპონდენტთა 54%-მა ეს ქულა მიიღო, რაც გვამღევეს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის ნახევარი ფინანსურ საკითხებში მეტნაკლებად განათლებულია. მთლიანი მოსახლეობის საშუალო ფინანსური ცოდნის ქულა მაქსიმალური 7 ქულიდან 4.5-ს შეადგენს.

მოსახლეობის 60%-ს ესმის ინფლაციის ერთი წლის განმავლობაში ერთ დონეზე შენარჩუნების გავლენა ფულის მსყიდველუნარიანობაზე (QK3). ამასთან, რესპონდენტთა 94%-ს ესმის პროცენტის არსი და სწორად მიუთითებს, რომ QK4 შეკითხვაში სესხზე პროცენტი არ დარიცხულა.

დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ მოსახლეობის შედარებით დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო დეპოზიტზე ერთი წლის განმავლობაში დაგროვებული პროცენტის გამოთვლა პროცენტის დარიცხვის მარტივი მეთოდის გამოყენებით (QK5) და შემდეგ, ამავე დეპოზიტზე პროცენტის დარიცხვის რთული მეთოდის გავლენის დადგენა 5 წლის განმავლობაში. უფრო კონკრეტულად კი, მოსახლეობის მხოლოდ 51%-მა შეძლო დეპოზიტზე „მარტივი“ პროცენტის სწორად გამოთვლა, ხოლო ამავე დეპოზიტზე პროცენტის დარიცხვის რთული მეთოდის გავლენის განსაზღვრა მოსახლეობის მხოლოდ 46%-მა შეძლო. დაბოლოს, ორივე კითხვაზე სწორი პასუხი რესპონდენტთა 22%-მა გასცა.


მოსახლეობის 79%-ს ესმის რისკსა და ამონაგებს შორის საბაზისო ურთიერთმიმართება (QK7a). მოსახლეობის 85%-სათვის ასევე გასაგებია ინფლაციის ცნება (QK7b), ხოლო რისკის დივერსიფიკაციის ცნება (QK7c), როგორც ჩანს, რესპონდენტებს შედარებით ნაკლებად ესმით; მოსახლეობის 37%-მა ვერ შეძლო ამ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა.

მთლიანობაში, ვხედავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს შეუძლია სწორად უპასუხოს მარტივ ცოდნაზე დაფუძნებულ შეკითხვებს, მათ უძნელდებათ შედარებით გართულებულ შეკითხვებზე სწორი პასუხის გაცემა.

ფინანსური ცოდნის შეკითხვებზე გაცემული სწორი პასუხების გადანაწილება მოსახლეობაში							
QK3	QK4	QK5	QK6	QK5&6	QK7a	QK7b	QK7c
ფულის ღირებულება დროში	სესხზე პროცენტის გამოთვლა	მარტივი პროცენტი დეპოზიტზე	რთული პროცენტი დეპოზიტზე	დაჯგუფებული მარტივი და რთული პროცენტი დეპოზიტზე	რისკი და ამონაგები	ინფლაციის განსაზღვრება	დივერსიფიკაცია
60%	94%	51%	46%	22%	79%	85%	63%

დიაგრამა 1–ში მოცემულია ფინანსური ცოდნის ქულების გადანაწილება (0–დან 7–ის ჩათვლით) მთელს მოსახლეობაში.


დიაგრამა 1. ფინანსური ცოდნის ქულების გადანაწილება (ვალიდური პროცენტი)




წინამდებარე კვლევა მოიცავს თვითშეფასების ნაწილს, რაც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ, თუ როგორ აფასებენ რესპონდენტები საკუთარ ცოდნას ფინანსურ საკითხებში ქვეყანაში ზრდასრული მოსახლეობის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით. ფინანსურ საკითხებში გათვითცნობიერებულობის საკუთარ დონეს რესპონდენტთა 65% აფასებს, როგორც საშუალოს, 4% – როგორც ძალიან მაღალს, ხოლო 5% – როგორც ძალიან დაბალს (იხ. დიაგრამა 2).

თუ რესპოდენტთა თვითშეფასებას ფინანსური საკითხების ცოდნასთან მიმართებაში კვლევის შედეგად მიღებულ ცოდნის რეალურ მაჩვენებლებთან შევადარებთ, დავინახავთ, რომ საქართველოს მოსახლეობა საკუთარ ფინანსურ ცოდნას არც თუ ადეკვატურად აფასებს; საკუთარ ცოდნას მოსახლეობის 65% აფასებს, როგორც საშუალოს, ხოლო 17% – როგორც მაღალს, მაშინ როდესაც OECD/INFE-ს მეთოდოლოგიის მიხედვით, მოსახლეობის 54% ფინანსურად მეტნაკლებად მცოდნედ შეიძლება ჩაითვალოს (იხ. დიაგრამა 2 და 2.1).

დიაგრამა 2. ფინანსური საკითხების ცოდნის დონის თვითშეფასება საქართველოში სხვა ზრდასრულ მოსახლეობასთან შედარებით (ვალიდური პროცენტი)



დიაგრამა 2.1 ფინანსური საკითხების ცოდნის დონის თვითშეფასება ცოდნის რეალურ ქულებთან შედარებით (ვალიდური პროცენტი)



ფინანსური ქცევა

რესპონდენტთა ქცევა, საბოლოო ჯამში, მათი ფინანსური მდგომარეობის განმსაზღვრელია როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. ზოგიერთი ქცევა, მაგალითად, გადასახადების დაგვიანებით გადახდა, ან ფინანსური პროდუქტის შეძენა სხვადასხვა შეთავაზებების წინასწარი შედარების გარეშე, შეიძლება უარყოფითად აისახოს ინდივიდის ფინანსურ მდგომარეობასა და, შესაბამისად, მის ფინანსურ კეთილდღეობაზე. ამიტომაც, არსებითად მნიშვნელოვანია ფინანსური განათლების კვლევის ფარგლებში ფინანსური ქცევების შესწავლა და შეფასება.

OECD/INFE-ს კითხვარში მოცემულია სხვადასხვა სტილის შეკითხვები, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ ის პოზიტიური და ნეგატიური ფინანსური ქცევები, რომლებიც მოსახლეობას ახასიათებს, მათ შორის, ფინანსური პროდუქტის შეძენამდე შესაძლო ვარიანტების აწონ-დაწონვა, გადასახადების დროულად გადახდა, ბიუჯეტის შედგენა, ფულის შენახვა, და სესხება თავის გასატანად.

დებულებები ქცევების შესახებ

ფინანსური ქცევის გასაზომად გამოყენებული რამდენიმე ინდიკატორი 5-ქულიან შკალას იყენებს, რომელიც რესპონდენტს საშუალებას აძლევს უფრო კონკრეტულად გამოხატოს, თუ როგორ იქცევა იგი გარკვეულ სიტუაციებში (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. დებულებები ქცევის შესახებ

შეკითხვის კოდი	ტექსტი	სავარაუდო პასუხები
QF10_1	რაიმე ნივთის შეძენამდე ყურადღებით ავწონ-დავწონი, თუ რამდენად შევწვდები მას	5-ქულიანი შკალა: 1=სრულიად ვეთანხმები; 5=სრულიად არ ვეთანხმები
QF10_4	გადასახადებს თავის დროზე ვიხდი	
QF10_6	ჩემს ფინანსებს ზედმიწევნით ვაკონტროლებ, და ვგეგმავ	
QF10_7	მიზნად ვისახავ გრძელვადიან ფინანსურ მიზნებს და ვცდილობ მათ მიღწევას	

რესპონდენტები, რომლებიც შკალაზე 1 ან 2 ქულას ირჩევენ, ფინანსური თვალსაზრისით სწორი ქცევებით გამოირჩევიან. გამოკითხულთა 90% დაეთანხმა ან სრულად დაეთანხმა იმ დებულებას, რომ ახალი ნივთის შეძენას სიფრთხილით ეკიდება. გადასახადების დროულად გადახდა მოსახლეობის 89%-ისთვის, ხოლო ფინანსური საკითხების კონტროლი მოსახლეობის 75%-ისათვის ჩვეულ ქცევას წარმოადგენს. აღნიშნულის საპირისპიროდ, გამოკითხულთა გაცილებით მცირე რაოდენობა (41%) აცხადებს, რომ გრძელვადიანი ფინანსური მიზნები აქვს და ისწრაფვის მათ მისაღწევად (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3. ფინანსური ქცევების პროცენტული გადანაწილება მოსახლეობაში

ახალი ნივთის შეძენას სიფრთხილით ეკიდება	გადასახადებს დროულად იხდის	ფინანსურ საკითხებს ზედმიწევნით აკონტროლებს	მიზნად ისახავს გრძელვადიან ფინანსურ მიზნებს და ცდილობს მათ მიღწევას
90%	89%	75%	41%
რესპონდენტების წილი, რომლებიც დაეთანხმნენ დებულებას (ე.ი. დებულება 1 ან 2 ქულით შეაფასეს)			

რამდენიმე პასუხის კომბინაციით წარმოებული ინდიკატორები

ამ ანგარიშში გამოყენებული ფინანსური ქცევის დანარჩენი ინდიკატორები სხვადასხვა კითხვებზე გაცემული პასუხების კომბინაციით მიიღება.

ბიუჯეტირება

ბიუჯეტის შედგენა განიხილება, როგორც ფინანსური მენეჯმენტის მნიშვნელოვანი საშუალება, და ასევე, ზოგადი ფინანსური განათლების აუცილებელი კომპონენტი. შესაბამისად, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, ფინანსურ გადაწყვეტილებებთან ერთად, ბიუჯეტირებასთან დაკავშირებული საკითხებიც იქნა შესწავლილი.

თუ რესპონდენტის შინამეურნეობა აწარმოებს ბიუჯეტს, მაგრამ თავად რესპონდენტი არანაირ მონაწილეობას არ იღებს ბიუჯეტის შედგენაში, ან შინამეურნეობის სხვა ფინანსური გადაწყვეტილების მიღებაში, მაშინ ეს რესპონდენტი ვერ ჩაითვლება მაღალი ფინანსური განათლების მქონედ. ანალოგიურად, რესპონდენტს ვერ ჩავთვლით ფინანსურად განათლებულად, თუ ის პასუხისმგებელია შინამეურნეობაში ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაზე, მაგრამ მის შინამეურნეობას ბიუჯეტი არ გააჩნია.

აქედან გამომდინარე, მოხდა ამ ორი ინდიკატორის შეკრება ერთი, კომბინირებული ინდიკატორის შესაქმნელად, რომელიც მე-4 ცხრილის 1-ელ და მე-2 სვეტებში მოცემული ორი კითხვის საფუძველზე გამოავლენს რესპონდენტებს, რომლებიც ფინანსურ საკითხებზე სრულ ან ნაწილობრივ პასუხისმგებლობას იღებენ ბიუჯეტის მქონე შინამეურნეობაში (ცხრილი 4; სვეტი 3).

როგორც მე-4 ცხრილიდან ხედავთ, რესპონდენტთა 57%-ს აქვს ბიუჯეტი შინამეურნეობაში და ამავდროულად, პასუხისმგებლობას იღებს შინამეურნეობაში ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაზე. ამ გაერთიანებული ინდიკატორის ცალკეულ კომპონენტთა ანალიზი (1-ლი და მე-2 სვეტები) აჩვენებს, რომ გამოკითხულთა უმეტესობა (87%) შინამეურნეობის (ან შინამეურნეობის არარსებობის შემთხვევაში, პირად) ფინანსურ გადაწყვეტილებებზე სულ მცირე გარკვეულ პასუხისმგებლობას მაინც იღებს, რაც, თუ გავითვალისწინებთ ფინანსური განათლების საერთო დონის შესახებ მიღებულ მაჩვენებელს, მიუთითებს, რომ მხოლოდ ეს შეკითხვა ფინანსური განათლების სუსტი დეტექტორია; რაც შეეხება ბიუჯეტს – მოსახლეობის 64%-ს აწარმოებს შინამეურნეობის ბიუჯეტს.

ცხრილი 4. შინამეურნეობების ფინანსური გადაწყვეტილებები და ბიუჯეტი

ვინ იღებს ყოველდღიურ გადაწყვეტილებებს ფულთან დაკავშირებით შინამეურნეობაში?	გაქვთ თუ არა შინამეურნეობის ბიუჯეტი?	ფულთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი ბიუჯეტის მქონე შინამეურნეობაში
87%	64%	57%
% თავად ან სხვასთან ერთად იღებს ამ გადაწყვეტილებებს	% დადებითი პასუხი	% იღებს გადაწყვეტილებებს და ამასთან აცხადებს, რომ შინამეურნეობას ბიუჯეტი აქვს

„აქტიური“ დაზოგვა

დაზოგვა ფინანსური კეთილდღეობის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევა. ის ადამიანები, რომლებიც ზოგავენ, ჩვეულებრივ უკეთ ახერხებენ შემოსავლებისა და ხარჯების გადანაწილებას, ფინანსური მიზნების მიღწევას და ფინანსურ მოულოდნელობებთან გამკლავებას.

OECD/INFE-ს სახელმძღვანელო ცალკე გამოჰყოფს „აქტიურ“ მზოგველებს. „აქტიური“ დაზოგვის ინდიკატორი დაზოგვის მხოლოდ ისეთ ფორმებს ითვალისწინებს, რომლებიც ქმედებებს წარმოადგენს, და რომლებსაც რესპონდენტმა უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში მიმართა. მაგალითისათვის, მიმდინარე ანგარიშზე ფულის დაგროვება არ მიიჩნევა „აქტიურ“ შენახვად, რადგანაც ეს უკანასკნელი არ გულისხმობს ქმედებას ან პროცესს, და მათ, ვისაც საბანკო ანგარიშზე მიუწვდებოდათ ხელი, შესაძლებლობა აქვთ, რომ ფულის დაგროვებისთვის სხვა, უფრო შესაფერისი მეთოდები აირჩიონ, როგორიცაა დეპოზიტი (OECD/INFE 2016). „აქტიური“ დაზოგვის ინდიკატორი მიზნად ისახავს შეაფასოს ფულის დაზოგვისთვის გამოყენებული ქცევა (ე.ი. მიმდინარე შემოსავლის ნაწილის გადადება სამომავლო მოხმარებისათვის), და არა გაკეთებული დანაზოგის ხარისხი; შესაბამისად, ეს ინდიკატორი ფულის დაზოგვის ბევრ სხვადასხვა ფორმას მოიცავს, მათ შორის, არაფორმალური შემნახველი პროდუქტების გამოყენებას, და ოქროს თუ სხვა ქონების შესყიდვას.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში მოსახლეობის 38% ამა თუ იმ გზით ინახავს/ზოგავს ფულს, თუმცადა მოსახლეობის მხოლოდ 35% მოიაზრება „აქტიურ“ დამზოგველად OECD/INFE-ს მეთოდოლოგიის მიხედვით. ამასთან, შედარებით დაბალი ფინანსური განათლებისა და შემოსავლის მქონე მოსახლეობა დაზოგვას ძირითადად არაფორმალური გზით ახორციელებს. დაზოგვის კულტურა უფრო დაწვრილებით წინამდებარე კვლევის შესაბამის თავშია განხილული.

ფინანსური პროდუქტების შეძენისას ბაზარზე საუკეთესო ფასის ძიება

პროდუქტის შეძენამდე საუკეთესო ფასის ძიების (ე.წ. „Shopping around“) ინდიკატორი ორ შეკითხვას ეფუძნება, რომლებიც მე-5 ცხრილშია მოცემული. ეს შეკითხვები მხოლოდ იმ ადამიანებს დაესვთ, რომელთაც უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში რომელიმე ფინანსური პროდუქტის სასარგებლოდ გააკეთეს არჩევანი. თუ ამგვარი პროდუქტი რამდენიმეა, მაშინ ინტერვიუერი რესპონდენტს სთხოვს ყველაზე ბოლოს შერჩეული პროდუქტის შესახებ ისაუბროს. ამ მიდგომის მიზანია უზრუნველყოს, რომ რესპონდენტს ახსოვს პროდუქტის შერჩევის პროცესი.


ცხრილი 5. კითხვები პროდუქტის შერჩევის შესახებ

შეკითხვის კოდი	შეკითხვა	სავარაუდო პასუხები	შენიშვნა
Qprod2	ჩამოთვლილთაგან, რომელი წინადადება აღწერს ყველაზე კარგად, თუ როგორ გააკეთეთ არჩევანი?	a) სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდი სხვადასხვა კომპანიის რამდენიმე ვარიანტი განვიხილე; b) ერთი კომპანიის სხვადასხვა ვარიანტი განვიხილე; c) სხვა ვარიანტები საერთოდ არ გამითვალისწინებია; d) შევეცადე მომეძებნა, მაგრამ სხვა ვარიანტი არ იყო გასათვალისწინებლად.	შეკითხვის მიზანია გამოარკვიოს, თუ რამდენად შეეცადა რესპონდენტი გაცნობოდა და მხედველობაში მიეღო არსებული ალტერნატიული პროდუქტები. რაკი ამ შეკითხვას რამდენიმე სავარაუდო პასუხი აქვს, შეიქმნა კომბინირებული ცვლადი, რომელიც აჩვენებს, შეეცადნენ თუ არა რესპონდენტები გადაწყვეტილების მიღებამდე მხედველობაში მიეღოთ ალტერნატიული ვარიანტები: ა და დ პასუხს მიენიჭათ 1 ქულა. სხვა პასუხებს, მათ შორის, იმ პასუხს, რომლის მიხედვითაც სხვა ვარიანტები არ იყო გასათვალისწინებლად, 0 ქულა მიენიჭა.

Qprod3	როგორ ფიქრობთ, ინფორმაციის რომელმა წყაროებმა მოახდინეს ზეგავლენა თქვენს გადაწყვეტილებაზე (იმის შესახებ, თუ რომელი პროდუქტი აგერჩიათ)?	OECD/INFE-ს კითხვარის მიხედვით მოცემულია სხვადასხვა მაგალითი; მონაწილე ქვეყნებმაც დაამატეს საკუთარი ვერსიები შემდეგი კატეგორიების ქვეშ: ინფორმაცია პროდუქტზე; ზოგადი რჩევა; მედია საშუალებები; რეკლამები, და სხვა.	შეკითხვის მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად გამოიყენა რესპონდენტმა სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია ან რჩევა-დახმარება. შეკითხვას რამდენიმე შესაძლო პასუხი აქვს: თუ რესპონდენტებმა გამოიყენეს პროდუქტისთვის სპეციფიური ან ზოგადი სახის რაიმე ინფორმაცია, პასუხს ენიჭება 1 ქულა; თუ რესპონდენტმა ინფორმაციის დამოუკიდებელ, პროფესიულ წყაროს მიმართა, მაშინ პასუხს ენიჭება 2 ქულა.
--------	---	--	--

მოცემულ ორ შეკითხვაზე მიღებული პასუხები ცხადყოფს, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, საუკეთესო ვარიანტის შერჩევის მიზნით, მოსახლეობის მხოლოდ 32.9%-მა განიხილა რამდენიმე არჩევანი (დიაგრამა 3; სვეტი 1 და 4). მოსახლეობის 23.5%-ს პროდუქტის შეძენამდე არც ერთი ალტერნატიული ვარიანტი არ განუხილავს მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა ამის შესაძლებლობა.


დიაგრამა 3. პროდუქტის შერჩევა: საუკეთესო ფასის ძიება (რეალური პროცენტი)⁶



უკანასკნელ პერიოდში პროდუქტის შერჩევისას რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი (20%) ფილიალში მიღებულ ინფორმაციას დაეყრდნო, ხოლო საკუთარ გამოცდილებაზე და ახლობლის რეკომენდაციაზე დაყრდნობით გამოკითხულთა 17-17%-მა მიიღო გადაწყვეტილება. საინტერესოა, რომ სხვადასხვა არხებით გავრცელებულ რეკლამებს ჯამში გამოკითხულთა 11% დაეყრდნო, ხოლო სხვა ინფორმაციის წყაროებს – 4%-ზე ნაკლები. დამოუკიდებელი ფინანსური მრჩევლისგან რეკომენდაციის მიღება კი საერთოდ არ არის გავრცელებული პრაქტიკა (იხ. დიაგრამა 4).

⁶ ეს შეკითხვა მხოლოდ იმ რესპონდენტებს დაესვა, რომლებმაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ამა თუ იმ ფინანსური ფინანსური პროდუქტით ისარგებლეს.

დიაგრამა 4. ფინანსური პროდუქტების შერჩევა: ინფორმაციის წყაროები



ფინანსური თვალსაზრისით თავის გატანა

მოსახლეობის ფინანსური თვალსაზრისით თვიდან თვემდე თავის გატანის უნარი 2 შეკითხვით შემოწმდა. მიღებული პასუხები საშუალებას იძლევა შეფასდეს ის სტრატეგიები, რომლებიც რესპონდენტებმა იმ შემთხვევებისთვის შეიმუშავეს, როდესაც შემოსავალი მიმდინარე ხარჯებს ვერ ფარავს (იხ. ცხრილი 6). მოცემული 2 შეკითხვით შექმნილი საერთო ინდიკატორი 1 ქულას ანიჭებს რესპონდენტებს, რომელთაც ა) არ გამოუცდიათ შემოსავალის უკმარისობა უკანასკნელი წლის განმავლობაში (რაც მიუთითებს, მათ შორის, ფინანსების მართვის კარგ უნარზე), ან ბ) გამოუცდიათ შემოსავლების უკმარისობა, მაგრამ არ უსესხიათ ფული ხარჯების დასაფარად (რაც მიუთითებს, რომ რესპონდენტებს უკვე ჰქონდათ შემუშავებული გეგმა ამგვარ სიტუაციასთან გამკლავების მიზნით). რესპონდენტებს, რომელთაც თავის გასატანად ფულის სესხება დასჭირდათ, 0 ქულა მიენიჭათ.

ცხრილი 6. კითხვები თავის გატანის შესახებ

შეკითხვის კოდი	შეკითხვა	სავარაუდო პასუხები	შენიშვნა
QF11	ზოგჯერ ადამიანები აღმოაჩენენ, რომ მათი შემოსავალი არ არის საკმარისი მიმდინარე ხარჯების დასაფარად. ბოლო 12 თვის განმავლობაში, პირადად თქვენ ხომ არ გქონიათ მსგავსი შემთხვევა?	პასუხები: კი/არა	
QF12	რა მოიმოქმედეთ ამ სიტუაციიდან თავის დასაღწევად ბოლოს, როცა ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდით?	დაშვებულია რამდენიმე პასუხი	შეკითხვის მიზანია იმ რესპონდენტთა გამოვლენა, რომლებმაც ფული ისესხეს ან არ დაფარეს არსებული ფინანსური ვალდებულებები, რათა თავი გაეტანათ

ამ მიდგომით მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ უკანასკნელი 12 თვის მანძილზე მოსახლეობის 62%-მა გამოსცადა შემოსავლის უკმარისობის შემთხვევა (ცხრილი 7, სვეტი 1), მთლიანი მოსახლეობის 45%-მა კი ისესხა ფული რათა თავი გაეტანა (ცხრილი 7, სვეტი 2), რაც მიუთითებს, რომ ბევრ ადამიანს გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის საერთოდ არ აქვს გაკეთებული დანაზოგი, ან, უკვე გამოიყენა საკუთარი დანაზოგი.


ცხრილი 7. თავის გატანასთან დაკავშირებულ კითხვებზე მიღებული პასუხები

რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ მათი შემოსავალი ყოველთვის არ წვდება საარსებო ხარჯებს	რესპონდენტები, რომლებმაც თავის გასატანად ფული ისესხეს (ყველა რესპონდენტს შორის)
62%	45%

ფინანსური ქცევის საერთო მაჩვენებელი

ფინანსური ქცევის საერთო მაჩვენებელი იმ პოზიტიურ ქცევებს ითვლის, რომლებიც ამ თავში განხილულ შეკითხვებზე მიღებული პასუხების მიხედვით გამოვლინდა. ფინანსური ქცევის მაჩვენებლის მაქსიმალური მნიშვნელობა 9 ქულაა, ხოლო მინიმალური მნიშვნელობა - 0 ქულა. OECD/INFE-ს მეთოდოლოგიის მიხედვით, 6 ან მეტი ქულა შედარებით მაღალ ქცევით მაჩვენებლად მიიჩნევა. საქართველოში აღნიშნული ქულა გამოკითხულთა მხოლოდ 36%-მა მიიღო. მე-5 დიაგრამაში წარმოდგენილი ქულების გადანაწილება გვაჩვენებს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას რამდენიმე პოზიტიური ქცევა ახასიათებს: მოსახლეობის 28.7%-მა 5, ხოლო 19.2%-მა - 4 პოზიტიური ქცევა გამოავლინა. საქართველოს მოსახლეობის საშუალო ქცევითი მაჩვენებელი მაქსიმალური 9 ქულიდან 5.0 ქულას შეადგენს.

დიაგრამა 5. ქცევითი ქულების გადანაწილება მოსახლეობაში (ვალიდური პროცენტი)



ფინანსური დამოკიდებულებები

OECD/INFE-ს მიერ შემუშავებული ფინანსური განათლების განმარტება ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ადამიანს საკმარისი ცოდნა და უნარი აქვს პოზიტიური ქცევის განსახორციელებლად, მისმა დამოკიდებულებამ და განწყობამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მის გადაწყვეტილებაზე, და შესაბამისად, მის ქცევაზე. მაგალითად, თუ ადამიანს სამომავლო დანაზოგის გაკეთების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მას ნაკლებად ექნება მიდრეკილება შესაბამისი ქცევის განხორციელებისაკენ. ამასთან, თუკი გრძელვადიანი საჭიროებების ნაცვლად ადამიანები მოკლევადიან მოთხოვნილებებს ანიჭებენ უპირატესობას, მაშინ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ისინი ფულს გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის დაზოგავენ, ან გრძელვადიან ფინანსურ მიზნებს დაისახავენ (OECD/INFE 2012).

ფულთან და მომავლის დაგეგმვასთან დაკავშირებით რესპონდენტთა დამოკიდებულებების შესწავლის მიზნით, წინამდებარე კვლევამ სამი დამოკიდებულებითი დებულება მოიცვა (ცხრილი 8). ეს დებულებები რესპონდენტებს საშუალებას აძლევს 5–ქულიანი შკალის გამოყენებით შეაფასონ, თუ რამდენად ეთანხმებიან ამა თუ იმ კონკრეტულ დებულებას, რათა მათი განწყობები და პრიორიტეტები დადგინდეს.

ცხრილი 8. დებულებები ფინანსური დამოკიდებულებების შესახებ

შეკითხვის კოდი	ტექსტი	სავარაუდო პასუხები	შენიშვნა
QF10_2	დღევანდელი დღით ვცხოვრობ და ნაკლებად ვღელავ ხვალინდელ დღეზე	5–ქულიანი შკალა: 1=სრულიად ვეთანხმები; 5=სრულიად არ ვეთანხმები	ეს შეკითხვები მიზნად ისახავს დაადგინოს რესპონდენტი მხოლოდ მოკლევადიან გეგმებზეა ორიენტირებული (ანუ, ეთანხმება დებულებებს) თუ გრძელვადიან უსაფრთხოებას ანიჭებს უპირატესობას (არ ეთანხმება დებულებებს)
QF10_3	უფრო მეტ სიამოვნებას მანიჭებს ფულის ხარჯვა, ვიდრე მისი გადადება და დაგროვება გრძელვადიანი მიზნებისათვის		
QF10_8	ფული იმისთვისაა, რომ დაიხარჯოს		

თუ მოცემულ შეკითხვებზე პასუხებს დეტალურად განვიხილავთ, დავინახავთ, რომ რესპონდენტთა ძალიან მცირე ნაწილი (32%) იღებს მეტ სიამოვნებას ფულის შენახვისაგან, ვიდრე ხარჯვისაგან. გარდა ამისა, მოსახლეობა არც თუ ისე კონსერვატიულია ფულთან მიმართებაში; გამოკითხულთა მხოლოდ 7% არ ეთანხმება დებულებას, რომ ფული იმისათვისაა, რომ დაიხარჯოს (იხ. ცხრილი 9). ის გარემოება, რომ უფრო ცოტა ადამიანი არ ეთანხმება დებულებას „ფული იმისთვისაა რომ დაიხარჯოს“, ვიდრე დებულებას „ფულის ხარჯვა უფრო მეტ სიამოვნებას მანიჭებს, ვიდრე მისი სამომავლოდ შენახვა“, მიუთითებს, რომ მოსახლეობას პრაქტიკული ხედვა აქვს ფულის, როგორც ანგარიშსწორების საშუალების მიმართ; თუმცა, მიღებული შედეგები ასევე მიუთითებს, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი ვერ აღიქვამს ფულის სამომავლო პოტენციალს და სავარაუდოა, რომ ამ რესპონდენტებმა სათანადოდ არ იზრუნონ დანაზოგების გაკეთებაზე.

ცხრილი 9. დამოკიდებულებით დებულებებზე უარყოფითი პასუხების გადანაწილება

დამოკიდებულებით დებულებებზე უარყოფითი პასუხების გადანაწილება (ე.ი. გრძელვადიანი ფინანსური უსაფრთხოებისთვის უპირატესობის მინიჭება)			
	უფრო მეტ სიამოვნებას მანიჭებს ფულის ხარჯვა, ვიდრე მისი გადადება და დაგროვება გრძელვადიანი მიზნებისათვის	დღევანდელი დღით ვცხოვრობ და ნაკლებად ვღელავ ხვალინდელ დღეზე	ფული იმისთვისაა, რომ დაიხარჯოს
არ ეთანხმება (%)	32%	68%	7%

5-ქულიან შკალაზე 1 ქულა – მოკლევადიან ფინანსურ პრიორიტეტებს, ხოლო 5 ქულა – გრძელვადიან ფინანსურ პრიორიტეტებს გამოხატავს. სამ დებულებაზე დაფიქსირებული ქულების საშუალო მაჩვენებლის გამოყვანა მარტივ გზას წარმოადგენს იმის გასარკვევად, რესპონდენტები უმეტესწილად ფინანსების მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი ხედვით ხასიათდებიან. OECD/INFE-ს მეთოდოლოგიის მიხედვით, 3-ზე მაღალი საშუალო დამოკიდებულებითი ინდიკატორი მაღალ ქულად მიიჩნევა. საქართველოში მოსახლეობის 34%-მა 3-ზე მეტი ქულა მიიღო, რაც გულისხმობს, რომ მოსახლეობის 34% შედარებით გრძელვადიანი ფინანსური ხედვით ხასიათდება. ქვეყნის მოსახლეობის ფინანსური დამოკიდებულების საშუალო მაჩვენებელი მაქსიმალური 5 ქულიდან 2.8 ქულით განისაზღვრა.

ფინანსური განათლების საერთო მაჩვენებელი

როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსური განათლება კომპლექსური ცნებაა და ის ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ქცევების კომბინაციას წარმოადგენს. ამ ქვეთავში ფინანსური განათლების საერთო მაჩვენებელს განვიხილავთ, რომელიც წინა თავებში მოცემული ცოდნის, ქცევების და დამოკიდებულებების მაჩვენებლების ერთიანობას წარმოადგენს.

ფინანსური განათლების საერთო ქულა რესპონდენტების მიერ ცოდნის (0-7), ქცევისა (0-9) და დამოკიდებულებების (1-5) მიმართულებით მიღებული ქულების ჯამია. ამდენად, საერთო ქულას შეიძლება 1-დან 21-მდე ნებისმიერი მნიშვნელობა მიენიჭოს.

მე-6 დიაგრამაში მოცემულია ფინანსური განათლების ქულები დემოგრაფიულ ჯგუფებში. როგორც ხედავთ, მთლიანი მოსახლეობის ფინანსური განათლების ქულა 21-ქულიან შკალაზე 12.3-ს უდრის, რაც საშუალო მაჩვენებელია და ქვეყანაში ფინანსური განათლების ამდენისკენ მიმართული ღონისძიებების გააქტიურების საჭიროებაზე მიუთითებს. დიაგრამა 6.1 ამავე მაჩვენებლებს 100-ქულიან შკალაზე წარმოადგენს. 100 ქულამდე ნორმირებისას, ქვეყნის ფინანსური განათლების საერთო მაჩვენებელი 58.8-ს შეადგენს.

შედეგები უმეტესწილად განპირობებულია ქცევის ქულით, რომელიც საერთო ფინანსური განათლების მაქსიმალური 21 ქულიდან 9 ქულას შეადგენს. აღნიშნული მიუთითებს, რომ ფინანსური კეთილდღეობა პირდაპირ გამომდინარეობს პოზიტიური ქცევებიდან, და ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას, ნეგატიური ქცევების ცვლილებას აუცილებლად უნდა დაეთმოს ყურადღება.

ფინანსური განათლება დემოგრაფიულ ჯგუფებში

ფინანსური განათლების საერთო მაჩვენებლებში სქესის მიხედვით განსხვავებები პრაქტიკულად არ შეინიშნება. მამაკაცებმა ოდნავ უკეთესი ფინანსური ცოდნა გამოავლინეს, ხოლო ქალებს უკეთესი მაჩვენებელი აქვთ ფინანსური დამოკიდებულების მხრივ. ქალებმა და მამაკაცებმა ერთნაირი ქცევითი ქულები მიიღეს.

შესამჩნევი სხვაობა შეინიშნება ფინანსური განათლების დონეებში ასაკისა და შემოსავლების ჯგუფებში. როგორც დიაგრამა 6.1-იდან ხედავთ, ახალგაზრდა და საშუალო ასაკის (18-55 წლის) წარმომადგენლები, უფრო ასაკოვან რესპონდენტებთან (ასაკი: 56+) შედარებით, ფინანსური განათლების მაღალი დონით ხასიათდებიან. 36-დან 45 წლამდე ასაკის მოსახლეობამ ზოგადი ფინანსური განათლების ყველაზე მაღალი ქულა მიიღო (62.0 ქულა 100-დან), ხოლო რესპონდენტებმა, რომელთა ასაკიც 66 წელს აღემატება, ყველაზე დაბალი ქულები მიიღეს (54.2 ქულა).


პოზიტიური დამოკიდებულება იკვეთება, ასევე, ზოგადი განათლებისა და ფინანსური განათლების დონეებს შორის. რაც უფრო მაღალია ზოგადი განათლების დონე, მით უფრო მაღალია ფინანსური განათლების მაჩვენებელიც. უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტებმა ყველაზე მაღალი საშუალო ქულა მიიღეს (62.0), მაშინ, როცა საშუალო სკოლადამთავრებულებმა – მხოლოდ 57.1 ქულა, ხოლო დაწყებითი განათლების მქონეებმა – 44.4 ქულა დაიმსახურეს.

ქალაქად მცხოვრებმა მოსახლეობამ სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთან შედარებით ფინანსური განათლების უფრო მაღალი დონე გამოავლინა. იმერეთი (62.1), თბილისი (60.5), აჭარა (59.5) და კახეთი (59.4) ის რეგიონებია, სადაც საშუალოზე მაღალი ფინანსური განათლების მაჩვენებელი


დაფიქსირდა. ხოლო მცხეთა-მთიანეთში (52.7), სამეგრელოსა (54.1) და შიდა ქართლში (55.0) მცხოვრებმა მოსახლეობამ ყველაზე დაბალი ფინანსური განათლების ქულები მიიღო. ქართულ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობამ შედარებით მაღალი ფინანსური განათლების ქულა მიიღო (59.0), ვიდრე არაქართულენოვანმა მოსახლეობამ (საშუალოდ – 56.3 ქულა); აღნიშნული შესაძლოა ნაწილობრივ იმით იყოს გამოწვეული, რომ ფინანსურ სისტემასთან ურთიერთობისას ეს უკანასკნელი სეგმენტი ხშირად ენობრივ ბარიერს აწყდება, რაც ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას რამდენადმე ზღუდავს.

რაც შეეხება ფინანსური განათლების დონეებში განსხვავებებს დასაქმების სტატუსის მიხედვით – დასაქმებულმა მოსახლეობამ და სტუდენტებმა, უმუშევარი სეგმენტისგან განსხვავებით, საშუალოზე მაღალი ფინანსური განათლების ქულა მიიღეს. უმაღლესი მენეჯმენტის რგოლში დასაქმებულმა რესპონდენტებმა (70.9) და სპეციალისტ-პროფესიონალებმა (65.4) უფრო მაღალი ფინანსური განათლების ქულები მიიღეს, ვიდრე სხვა პროფესიის წარმომადგენლებმა. ხელოსნებმა და მონათესავე მუშახელმა (56.8) და სოფლის მეურნეობის სფეროს წარმომადგენლებმა (54.0) ყველაზე დაბალი ფინანსური განათლების ქულები დაიმსახურეს. აღნიშნული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ფინანსური განათლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ფინანსური კეთილდღეობისა თუ პროფესიული წარმატების მისაღწევად.

დიაგრამა 6. ფინანსური განათლების საშუალო ქულები დემოგრაფიულ ჯგუფებში (21-ქულიანი შკალა)




დიაგრამა 6.1 ფინანსური განათლების საშუალო ქულები დემოგრაფიულ ჯგუფებში (100-ქულიანი შკალა)



სასესხო ვალდებულებები და ვალის ტვირთი


წინამდებარე კვლევის ერთ-ერთ მიზანს შინამეურნეობაში სესხით სარგებლობის ტენდენციებისა და ვალის ტვირთის მიახლოებითი დონის დადგენა წარმოადგენს. კვლევის შედეგების თანახმად, მოსახლეობის 53%-ს შინამეურნეობაში მიმდინარე სესხი აქვს, ხოლო გამოკითხულთა 37% აცხადებს, რომ მის შინამეურნეობაში მოცემული მომენტისათვის სესხით არავინ სარგებლობს (იხ. დიაგრამა 7).

დიაგრამა 7. მიმდინარე სესხი შინამეურნეობაში




უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მომხმარებლების მიერ ყველაზე ფართოდ გამოყენებული სესხის სახეობა ახლობლებისგან აღებული უპროცენტო ვალია. მოსახლეობის 39%-სათვის სესხის ძირითად წყაროს ბანკი წარმოადგენს, მომხმარებელთა 18% სალომბარდო სესხით სარგებლობს, ხოლო გამოკითხულთა 12%-ს აქვს ე.წ. სწრაფი, „ონლაინ“ სესხის აღების გამოცდილება. ამასთან, მოსახლეობის 11%-ს გამოტანილი აქვს სესხი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან, ხოლო 3% კერძო გამსესხებლებისგან (კერძო მევახშისგან) აღებული სესხით სარგებლობს. მოსახლეობის იმ 12%-დან, რომელმაც გასულ წელს „ონლაინ“ სესხი აიღო, 9%-ს კვლავაც აქვს მიმდინარე „ონლაინ“ ვალდებულება, საშუალოდ 350 ლარის ოდენობით.

დიაგრამა 8. სესხის წყარო უკანასკნელი წლის განმავლობაში (შემთხვევათა პროცენტი)



ჯამში, სესხით მოსარგებლე სეგმენტმა გასულ წელს კრედიტის ასაღებად საშუალოდ 1.7 წყაროს მიმართა. რეგიონულ ჭრილში, კრედიტის წყაროების საშუალო რაოდენობა ყველაზე მაღალია იმერეთში (2.18 წყარო), ხოლო ყველაზე დაბალი - შიდა ქართლში (1.4 წყარო) (იხ. დიაგრამა 8.1).

დიაგრამა 8.1 სესხის წყაროების გადანაწილება რეგიონალურ კრილში (საშუალო)



თუ შინამეურნეობების მიერ სესხზე ყოველთვიურ ჯამურ შენატანს განვიხილავთ შინამეურნეობების შემოსავლების მიხედვით, დავინახავთ, რომ იმ შინამეურნეობების ყოველთვიური ჯამური გადასახადი სესხზე, რომელთა შემოსავალიც 550 ლარზე ნაკლებია, ამ ჯგუფის საშუალო შემოსავლის დაახლოებით 32%-ს უდრის, ხოლო თვეში 551-დან 900-ლარამდე შემოსავლის მქონე შინამეურნეობების ყოველთვიური გადასახადი სესხზე მათი საშუალო შემოსავლის 48%-ია. შემდგომ, შინამეურნეობები, რომელთა ყოველთვიური შემოსავალიც 901-დან 1500 ლარამდე მერყეობს, ყოველთვიურად სესხის დასაფარად საშუალო ყოველთვიური შემოსავლის 38%-ს იხდიან, ხოლო იმ შინამეურნეობების ყოველთვიური ჯამური სასესხო გადასახადი, რომელთა ყოველთვიური შემოსავალიც 1500 ლარს აღემატება, საშუალო შემოსავლის 36%-ს შეადგენს.

კვლევის ფარგლებში განცალკევებით იქნა შესწავლილი ის თანხა, რომელსაც შინამეურნეობები სწრაფი, ე.წ. „ონლაინ“ სესხების დასაფარად იხდიან. „ონლაინ“ სესხებზე გადასახდელი თანხები, ყოველთვიურ ჯამურ თანხებთან ერთად, რომელსაც შინამეურნეობები ყველა სხვა ტიპის სესხზე იხდიან, შეგიძლიათ მე-10-11 ცხრილებში იხილოთ.⁷

ცხრილი 10. შინამეურნეობების ყოველთვიური შენატანი სესხზე⁸

	ვალუტა: ლარი
საშუალო	393
მედიანა	226
მინიმუმი	10
მაქსიმუმი	9,081
სტან. გადახრა	560
რაოდენობა	581

ცხრილი 10.1. „ონლაინ“ სესხის დასაფარად შინამეურნეობების მიერ განხორციელებული ერთიანი შენატანი

	ვალუტა: ლარი
საშუალო	350
მედიანა	300
მინიმუმი	50
მაქსიმუმი	1500
სტან. გადახრა	274
რაოდენობა	80

⁷გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მითითებული სესხის საშუალო მოცულობები და ყოველთვიური შენატანები ფარდობითი სიდიდეებია და რესპონდენტების ზეპირსიტყვიერად განცხადებულ მონაცემებს ეფუძნება.

⁸დოლარში არსებული თვიური სასესხო შენატანები დაკონვერტირდა ლარში შემდეგი გაცვლითი კურსით: 1USD = 2.2702 GEL (2015 წლის საშუალო მონაცემი).

ცხრილი 11. შინამეურნეობების ყოველთვიური შენატანი სესხზე შემოსავლების მიხედვით

შინამეურნეობის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი	საშუალო	მედიანა	სტან. გადახრა	რაოდ.
550 ლარამდე	178	147	142	255
551 - 900 ლარი	351	300	237	145
901+ ლარი	636	500	560	143

ცხრილი 11.1. “ონლაინ” სესხის დასაფარად შინამეურნეობების მიერ განხორციელებული ერთიანი შენატანი შემოსავლების მიხედვით

შინამეურნეობის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი	საშუალო	მედიანა	სტან. გადახრა	რაოდ.
550 ლარამდე	276	234	234	29
551 - 900 ლარი	317	300	215	21
901+ ლარი	438	347	274	21

წინამდებარე კვლევამ შეისწავლა შინამეურნეობების სესხზე გადასახადისა და შემოსავლების თანაფარდობა, ანუ სესხის მომსახურების კოეფიციენტი (PTI) სხვადასხვა საშემოსავლო კატეგორიებისთვის, რაც შესაძლებელს ხდის დადგინდეს ქვეყანაში შინამეურნეობების ვალის ტვირთის მიახლოებითი დონე. აღმოჩნდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ, მოსალოდნელი იქნებოდა შემოსავლის დონის ზრდასთან ერთად PTI-ს ზრდაც, რეალურად, საშუალო შემოსავლის მქონე სეგმენტში (რომლის ყოველთვიური შემოსავალიც 551-სა და 900 ლარს შორის მერყეობს) PTI-ს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება და ამდენად, ეს სეგმენტი ყველაზე მეტადაა დატვირთული მიმდინარე სასესხო ვალდებულებებით (იხ. ცხრილი 12). საყურადღებოა, რომ საშუალოშემოსავლიანი შინამეურნეობები ხშირად ფულს არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტებიდან (როგორიცაა, ლომბარდი და ე.წ. „ონლაინ“ სესხების გამცემი ორგანიზაცია) სესხულობენ, რომლებიც შესაძლოა მომხმარებლების გადახდისუნარიანობას არ ამოწმებენ, ან ისეთივე სიზუსტით არ ამოწმებენ, როგორც ბანკები, რაც შედეგად სესხების ჭარბად დაგროვებას გვაძლევს (იხ. ცხრილი 13). ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ ზოგად გარემოებასაც, რომ შინამეურნეობების შემოსავლისა და გადასახდელების ანალიზისას შესაძლებელია საქმე გვქონდეს გარკვეულ ცდომილებებთან, რამდენადაც რესპონდენტებს შესაძლოა არ სურდეთ შინამეურნეობის ვალდებულებების ან შემოსავლების შესახებ ზუსტი ინფორმაციის გამხელა; ამასთან, შესაძლოა რესპონდენტები არასაკმარისად ინფორმირებულნი იყვნენ შინამეურნეობის სხვა წევრების სასესხო ვალდებულებებისა და შემოსავლების შესახებ.

ცხრილი 12. შინამეურნეობების PTI შემოსავლების ჭრილში

შინამეურნეობის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი	საშუალო	მედიანა
550 ლარამდე	40%	34%
551 - 900 ლარი	48%	41%
901+ ლარი	37%	29%

შემოსავლის დონეების მიხედვით სესხის წყაროების განხილვა საკმაოდ საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საბანკო სესხის გამოყენების სიხშირე განუხრელად იზრდება შემოსავლის დონის ზრდასთან ერთად. საბანკო სესხით მოსარგებლე ადამიანების შეხვედრის ალბათობა ყველაზე მაღალია სეგმენტში, რომლის საშუალო

ყოველთვიური შემოსავალი 1501 ლარიდან იწყება; თვეში 901-დან 1500 ლარამდე შემოსავლის მქონე სეგმენტის 65.6%, და 551-დან 900 ლარამდე შემოსავლის მქონე სეგმენტის 60.9% მიმდინარე ეტაპზე საბანკო სესხით სარგებლობს (იხ. ცხრილი 13).

აღსანიშნავია, რომ სესხის არც ერთი ფორმალური წყარო არ არის განსაკუთრებით გავრცელებული იმ სეგმენტში, რომლის ყოველთვიური შემოსავალი 550 ლარამდე მერყეობს; ამ სეგმენტის 64.2%-ს უპროცენტო სესხი მეგობრისგან ან ნათესავისაგან აქვს აღებული.

ცხრილი 13. სესხის წყაროები შემოსავლის კატეგორიების მიხედვით

სულ %	783 რესპონდენტიდან	მიმდინარე სესხი	მეგობარი... (უპროცენტო სესხი)	კერძო პირი	ლომბარდი	ბანკი	მისო	ე.წ. „ონლაინ“ საკრედიტო დაწესებულება
53.2%	550 ლარამდე	43.6%	64.2%	2.5%	23.0%	47.6%	13.0%	10.0%
18.8%	551 – 900	70.0%	62.4%	2.0%	29.3%	60.9%	15.8%	25.0%
11.5%	901 - 1500	64.6%	47.8%	3.5%	30.8%	65.6%	10.2%	31.6%
3.6%	1501 – 2000	67.5%	52.6%	3.8%	16.0%	78.6%	16.5%	11.8%
4.9%	2001 და მეტი	65.2%	49.7%	6.2%	14.4%	80.9%	30.5%	15.3%

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები დემოგრაფიულ ჭრილში

თითქმის არ არსებობს განსხვავება შინამეურნეობების მიერ სასესხო ვალდებულებების აღების სიხშირის თვალსაზრისით გენდერულ ჭრილში. გამოკითხული მამაკაცების 53.2% და ქალების 52.3% აცხადებს, რომ შინამეურნეობაში სესხი აქვს (მეტი ინფორმაციისთვის იხ. დიაგრამა 9).

იმ რესპონდენტთა წილი, რომელთაც შინამეურნეობაში მიმდინარე სესხი აქვთ, 18-დან 46 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში განუხრელად იზრდება; 18-დან 25 წლამდე ასაკობრივ სეგმენტში გამოკითხულთა შინამეურნეობების 51%-ს, ხოლო 36-დან 45 წლამდე ასაკობრივ სეგმენტში – 66%-ს აქვს სესხი. 46 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტების შემთხვევაში, შინამეურნეობის მიერ სესხის აღების ალბათობა კვლავ მცირდება; 66 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტების მხოლოდ 31.6%-ს აქვს სესხი შინამეურნეობაში. კვლავაც, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოცემულ შედეგებში შესაძლებელია გარკვეულ ცდომილებებთან გვეკონდეს საქმე, რამდენადაც რესპონდენტები შესაძლოა არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულნი შინამეურნეობების სხვა წევრების სასესხო ვალდებულებების შესახებ.


ზოგადი განათლების დონის გაუმჯობესების პარალელურად, შეიმჩნევა შინამეურნეობების მიერ სესხის აღების მზარდი ტენდენცია. კერძოდ, უმაღლესი განათლების მქონეთა 55%-ს აქვს სესხი შინამეურნეობაში მაშინ, როდესაც იგივე არასრული საშუალო განათლების მქონეთა მხოლოდ 43%-ზე შეიძლება ითქვას.

თუ ყველა პროფესიის ანაზღაურებად მუშაკებს (გარდა თვითდასაქმებულებისა) ერთად დავაჯგუფებთ, დავინახავთ, რომ ამ ჯგუფში შემავალი რესპონდენტები ყველაზე მეტად არიან მიდრეკილნი სესხით სარგებლობისკენ: ჯგუფის 70%-ს შინამეურნეობაში სესხი აქვს. ამ სეგმენტს თვითდასაქმებული სეგმენტი მოსდევს, რომლის 65.3%-საც შინამეურნეობაში მიმდინარე სესხი აქვს. თუ უმუშევარ რესპონდენტებს ერთად დავაჯგუფებთ, დავინახავთ, რომ მათი 44.2% სარგებლობს სესხით, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია იმის გათვალისწინებით, რომ მთლიანად დასაქმებული მოსახლეობის (თვითდასაქმებულების ჩათვლით) 68.2%-ს აქვს სესხი შინამეურნეობაში.

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 55% სესხით სარგებლობს, მაშინ, როცა იგივე ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის მხოლოდ 51%-ზე შეიძლება ითქვას. მცხეთა-მთიანეთში, იმერეთსა და გურიაში ყველაზე მეტი რესპონდენტი სარგებლობს სესხით. ყველაზე ნაკლები სიხშირით სესხით სამეგრელოში სარგებლობენ, სადაც გამოკითხული მოსახლეობის მხოლოდ 34%-ს აქვს მიმდინარე სესხი.

ქართულენოვანი მოსახლეობის 53.4%-ს აქვს სესხი შინამეურნეობაში, ხოლო არაქართულენოვანი რესპონდენტებიდან სესხით 46.1% სარგებლობს.


ეკონომიკური სტატუსის გაუმჯობესების ადეკვატურად, იზრდება მიმდინარე სესხის მქონე შინამეურნეობების რაოდენობაც. კერძოდ, როგორც მე-9 დიაგრამიდან ჩანს, სესხის აღების ალბათობა იმ სეგმენტიდან, რომელსაც რთულად გააქვს თავი თვიდან თვემდე, იმ სეგმენტამდე, რომელსაც ყველაფრის შეძენა შეუძლია საკუთარი სახსრებით ან კრედიტით, გარდა ახალი მანქანისა, 47%-დან 64%-მდე განუხრელად იზრდება. ამ სეგმენტზე უფრო მაღალ ეკონომიკურ წრეებში კრედიტის მფლობელთა წილი კლებულობს, მაგრამ კვლავ საშუალოზე მაღალ მაჩვენებელზე ნარჩუნდება.



დაზოგვის კულტურა

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მოსახლეობის 37.9%-მა ამა თუ იმ ფორმით დაზოგა ფული, და დაზოგვის მიზნით მოსახლეობამ საშუალოდ 1.7 სხვადასხვა წყაროს მიმართა. ბოლო 12 თვის მანძილზე მოსახლეობის 23.4%-ს საერთოდ არ გადაუდია ფული შესანახად. გამოკითხულთა 28.1% ფულს სახლში ინახავს, 13,8% ფულს ოჯახის წევრს გადასცემს შესანახად, 9.8% მიმდინარე ანგარიშზე, ხოლო 7% – შემნახველ ანაბარზე ინახავს ფულს. ამასთან, მოსახლეობის 6.8% ფულს არაფორმალური გზით ინახავს, მაგ. თამაშობს „ლატარეას“ (იხ. დიაგრამა 10). OECD/INFE-ს მეთოდოლოგიის მიხედვით, მოსახლეობის მხოლოდ 35% ითვლება „აქტიურ“ დამზოგველად.

დიაგრამა 10. დაზოგვის ფორმები (შემთხვევათა პროცენტი n=987)



ზოგადად, არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი, ერთი მხრივ, დაზოგვის კულტურასა და მეორე მხრივ, შემოსავლისა და ფინანსური განათლების დონეებს შორის: შემოსავლისა და ფინანსური განათლების დონის გაუმჯობესებასთან ერთად, ადამიანები უფრო აქტიურად და ფორმალური გზების გამოყენებით ინახავენ ფულს.⁹

ფულის სახლში შენახვა მეტწილად 550 ლარამდე შემოსავლის მქონე სეგმენტისათვისაა დამახასიათებელი. ყველაზე აქტიური შემნახველები 901 ლარს ზევით შემოსავლის მქონე ჯგუფში გვხვდებიან და ისინი ყველაზე უკეთ ერკვევიან დაზოგვის ფორმალურ მეთოდებში, როგორიცაა საინვესტიციო პროდუქტების შეძენა და შემნახველ ანაბარზე თანხის დაგროვება (იხ. ცხრილი 14). საგულისხმოა, რომ დაბალშემოსავლიანი სეგმენტი თანხას შედარებით მცირე მოცულობით და/ან მოკლე ვადით ზოგავს, რაც განაპირობებს მათ გადაწყვეტილებას თანხა სახლში ან ოჯახის წევრებთან შეინახონ; ამ შემთხვევაში, თანხა ბევრად უფრო ადვილად ხელმისაწვდომი რჩება.

⁹ ფორმალური გზით დაზოგვის შესახებ დისკუსიის ფარგლებში საინტერესოა „გალაპის“ 2015 წლის მსოფლიო გამოკითხვა (Gallup World Poll 2015), რომლის მიხედვითაც, ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ნდობის მიხედვით საქართველო ევროპის ქვეყნებს შორის მე-4 ადგილზე, და რომლის შედეგებიც შეყვანია Legatum Institute-ის Prosperity Index-ის დათვლაში. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: <http://www.prosperity.com/>

ცხრილი 14. დაზოგვის ფორმები შემოსავლების კრილში

სულ %	ბაზა: რესპონდენტები	550 ლარამდე თვეში	551-დან 900 ლარამდე თვეში	901 ლარი და მეტი თვეში	უარი პასუხზე
28.1%	ინახავს ფულს სახლში	45%	22%	27%	6%
9.8%	ინახავს მიმდინარე ანგარიშზე	13%	23%	54%	10%
7.0%	ინახავს შემნახველ ანაბარზე	25%	14%	55%	6%
13.8%	აძლევს ოჯახის წევრს შესანახად	35%	24%	34%	7%
6.8%	ინახავს არაფორმალური გზით, მაგ. თამაშობს ლატარეას	28%	35%	31%	6%
0.7%	ყიდულობს ფინანსურ საინვესტიციო პროდუქტებს	0%	21%	67%	12%
4.3%	ან სხვა რომელიმე გზით	27%	31%	39%	3%
23.4%	არ ინახავს აქტიურად	56%	20%	11%	13%
0.2%	არ იცის	69%	0%	31%	0%
1.4%	უარი განაცხადა	73%	7%	0%	20%

როგორც ფინანსური ცოდნის, ისე ზოგადად, ფინანსური განათლების დონე მაღალია იმ სეგმენტში, რომელიც ფულს საინვესტიციო პროდუქტების შეძენით, მიმდინარე ანგარიშზე და შემნახველ ანაბარზე ინახავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაკლებ განვითარებული კაპიტალის ბაზრებისა და საინვესტიციო საქმიანობის გამო საქართველოს მოსახლეობისთვის ფულის საინვესტიციო პროდუქტების შეძენის გზით შენახვა არც ისე აქტუალურია (იხ. ცხრილი 15).

ცხრილი 15. დაზოგვის მეთოდები ფინანსური განათლების კრილში

სულ %	ბაზა: რესპონდენტები	ცოდნის ქულა	ქცევის ქულა	დამოკიდებულ განათლების ქულა	ფინ. განათლების ქულა (მაქს. 21)	ფინ. განათლების ქულა (ნორმირებული 100-მდე)
28.1%	ფულს ინახავს სახლში	4.8	5.8	3.0	13.7	65.0
9.8%	ფულს ინახავს მიმდინარე ანგარიშზე	5.4	5.8	2.8	14.0	66.9
7.0%	ფულს ინახავს შემნახველ ანაბარზე	5.2	6.3	3.0	14.5	69.1
13.8%	ფულს შესანახად ოჯახის წევრს აძლევს	5.0	5.9	2.8	13.7	65.0
6.8%	ფულს ინახავს არაფორმალური გზით, მაგ. თამაშობს ლატარეას	4.8	6.1	2.9	13.7	65.3
0.7%	ყიდულობს ფინანსურ საინვესტიციო პროდუქტებს	5.9	6.2	3.2	15.1	71.9
4.3%	ან სხვა რომელიმე გზით (პირუტყვის, ოქროს, ან სხვა ქონების შეძენის გზით)	5.2	5.9	2.7	13.7	65.3
23.4%	არ ინახავს აქტიურად	4.5	4.5	2.9	11.7	55.6
0.2%	არ იცის	1.5	4.3	2.9	8.4	40.1
1.4%	უარი განაცხადა	5.2	4.0	2.4	11.5	54.9
	სულ	4.8	5.0	2.8	12.3	58.8

ფულის დაზოგვის მეთოდები განსხვავდება დასაქმების სტატუსის მიხედვით. კერძოდ, თვითდასაქმებული მოსახლეობა (რესპონდენტები, რომლებსაც საკუთარი ბიზნესი ან მეურნეობა

გააჩნია) ფულს ძირითადად მიმდინარე ანგარიშზე, ან ქონების შეძენის გზით ინახავენ, როგორცაა ოქრო, პირუტყვი, და ა.შ. ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებულები (გარდა თვითდასაქმებული სეგმენტისა) ფულს ყველაზე ხშირად მიმდინარე საბანკო ანგარიშზე, არაფორმალური გზების გამოყენებით (მაგ. „ლატარეა“), საინვესტიციო პროდუქტების შეძენით, ან შემნახველ ანაბარზე ინახავენ. დიასახლისებისთვის, დროებით უმუშევრებისა და პენსიონერებისთვის ფულის ფორმალური გზით შენახვა ნაკლებად არის დამახასიათებელი. დროებით უმუშევრებსა და პენსიონერებს შორის ყველაზე გავრცელებული შემნახველი ქცევა ფულის ოჯახის წევრისთვის მიცემაა, ხოლო დიასახლისებისთვის – არაფორმალური გზების გამოყენება და ფულის სახლში შენახვა (იხ. ცხრილი 16).

ცხრილი 16. დაზოგვის მეთოდები დასაქმების ტიპის მიხედვით

სულ %	ბაზა: რესპონდენტები	თვითდასაქმებული [საკუთარი ბიზნესი, მეურნეობა]	დასაქმებული ანაზღაურებად სამსახურში [გარდა თვითდასაქმებულისა]	დიასახლისი	ეძებს სამუშაოს [დროებით უმუშევარი]	პენსიონერი	არ მუშაობს ჯამრთელობის მდგომარეობის გამო	უმუშევარი და არ ეძებს სამუშაოს	სტუდენტი
28.1%	ფულს ინახავს სახლში	15%	28%	14%	18%	11%	1%	6%	5%
9.8%	ფულს ინახავს მიმდინარე ანგარიშზე	17%	45%	3%	13%	7%	0%	6%	8%
7.0%	ფულს ინახავს შემნახველ ანაბარზე	11%	39%	14%	13%	8%	0%	9%	6%
13.8%	ფულს შესანახად ოჯახის წევრს აძლევს	14%	26%	12%	19%	16%	1%	7%	5%
6.8%	ფულს ინახავს არაფორმალური გზით, მაგ. თამაშობს ლატარეას	12%	44%	16%	7%	12%	0%	1%	6%
0.7%	ყიდულობს ფინანსურ საინვესტიციო პროდუქტებს	13%	58%	0%	8%	7%	0%	0%	0%
4.3%	ან სხვა რომელიმე გზით (პირუტყვის, ოქროს ან სხვა ქონების შეძენის გზით)	32%	24%	14%	13%	9%	0%	2%	4%
23.4%	არ ინახავს აქტიურად	8%	19%	21%	20%	24%	1%	5%	0%
0.2%	არ იცის	0%	31%	0%	0%	69%	0%	0%	0%
1.4%	უარი განაცხადა	12%	7%	0%	56%	8%	12%	0%	0%

ასევე საინტერესოა დაზოგვის მეთოდების პროფესიების მიხედვით განხილვა. მაღალი რანგის მენეჯერებისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია საინვესტიციო პროდუქტებში ფულის დაბანდება. სპეციალისტ-პროფესიონალები ფულს ძირითადად მიმდინარე ანგარიშსა და შემნახველ ანაბარზე ინახავენ. სპეციალისტებისთვის და დამხმარე პერსონალისთვის ყველაზე გავრცელებული ქცევაა ფულის არაფორმალური გზით შენახვა, როგორცაა ლატარეას თამაში. მომსახურების და სავაჭრო სფეროს მომსახურე პერსონალს და ხელოსნებს აერთიანებთ ფულის შემნახველ ანაბარზე შენახვა და ოჯახის წევრისთვის მიბარება, თუმცაღა, ხელოსნებისგან განსხვავებით, მომსახურე პერსონალს ფულის აქტიურად შენახვა არ ახასიათებს. არაკვალიფიციურ მუშაკთათვის ყველაზე დამახასიათებელია ფულის შენახვა პირუტყვის, ოქროს ან რაიმე სხვა სახის ქონების შეძენის გზით.

ცხრილი 16.1 დაზოგვის მეთოდები პროფესიების მიხედვით¹⁰

სულ %	ბაზა: რესპონდენტები (n=248)	ფულს ინახავს სახლში	ფულს ინახავს მიმდინარე ანგარიშზე	ფულს ინახავს შემნახველ ანგარიშზე	ფულს შესანახად ოჯახის წევრს აძლევს	ფულს ინახავს არაფორმალური გზით, მაგ. თამაშობს ლატარეას	ყიდულობს ფინანსურ საინვესტიციო პროდუქტებს	ან სხვა რომელიმე გზით (პირუტყვის, ოქროს, ან სხვა ქონების შეძენა)	არ ინახავს აქტიურად
4.1%	მაღალი რანგის მენეჯერი	4%	11%	7%	3%	6%	22%	12%	5%
23.6%	სპეციალისტ-პროფესიონალი	30%	37%	36%	27%	24%	31%	24%	13%
23.0%	სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი	20%	24%	15%	24%	38%	21%	30%	26%
5.1%	ოფისის პერსონალი	0%	6%	6%	3%	3%	0%	0%	7%
18.1%	მომსახურების და სავაჭრო სფეროს მომსახურე	13%	8%	20%	17%	17%	0%	9%	28%
9.1%	ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკი	14%	2%	17%	15%	3%	0%	5%	9%
1.6%	სამრეწველო მანქანებისა ოპერატორი ან ამწყობი	1%	1%	0%	0%	2%	0%	0%	1%
9.5%	არაკვალიფიციური ¹¹ მუშაკი	13%	4%	0%	5%	4%	0%	20%	7%
3.0%	შეიარაღებული ძალები	3%	5%	0%	5%	0%	0%	0%	0%
2.8%	უარი განაცხადა	1%	0%	0%	0%	4%	26%	0%	3%

თუ დაზოგვის მეთოდებს განვიხილავთ იმ დროის კრილში, რომლის განმავლობაშიც შემოსავლის დაკარგვის შემთხვევაში შინამეურნეობა შეძლებდა თავის გატანას სესხების ან სტანდარტული საცხოვრებელი პირობების შეცვლის გარეშე, დავინახავთ, რომ თავის შედარებით დიდი ხნის მანძილზე გატანის უნარი დაზოგვის მაღალ მაჩვენებელთან ასოცირდება. იმ ადამიანებს 64%, ვინც შემოსავლის დაკარგვის შემთხვევაში 3-დან 6 თვემდე შეძლებდა თავის გატანას, ამა თუ იმ ფორმით ახერხებს ფულის დაზოგვას. დაზოგვის ყველაზე სუსტი ჩვევები მათ აქვთ, ვინც აცხადებს, რომ თავის გატანას 1 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ შეძლებდა (იხ. ცხრილი 17).

ცხრილი 17. შემოსავლის დაკარგვისას თავის გატანის ხანგრძლივობა დაზოგვის კრილში

სიხშირ.	შემოსავლის დაკარგვისას თავის გატანის ხანგრძლივობა	ახერხებს დაზოგვას
196	კვირაზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში	26%
318	სულ მცირე ერთი კვირით, მაგრამ არაუმეტეს ერთი თვისა	38%
112	სულ მცირე ერთი თვით, მაგრამ არაუმეტეს სამი თვისა	55%
85	სულ მცირე სამი თვით, მაგრამ არაუმეტეს ექვსი თვისა	64%
76	ექვს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში	56%
152	არ იცის	32%


¹⁰ ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებულთა შორის, თვითდასაქმებულის გარდა.

¹¹ მუშაკი, რომლის საქმიანობაც არ მოითხოვს სპეციალიზებულ ცოდნას, მაგ. კურიერი, ტაქსისტი, დამლაგებელი.

ფინანსური მიზნები

ფინანსური მიზნების ქონა მიაჩნია, რომ ადამიანი მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულია ფინანსურ საკითხებში, და რომ გარკვეულწილად ფლობს ფულის გონივრული ხარჯვისა და დაზოგვის ჩვევებს. მოცემული კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 57%-ს ერთი ფინანსური მიზანი მაინც აქვს, ხოლო 41%-ს საერთოდ არ გააჩნია ფინანსური მიზნები (იხ. დიაგრამა 11).


დიაგრამა 11. ფინანსური მიზნები (რეალური პროცენტი)



ფინანსური მიზნების მქონე სეგმენტის ფინანსური განათლების ქულა 100-ქულიან შკალაზე 62.1-ს შეადგენს. ამის საწინააღმდეგოდ, ფინანსური განათლების მაჩვენებელი ფინანსური მიზნების არმქონე სეგმენტში მხოლოდ 54.5 ქულაა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ფინანსური მიზნების ქონა ფინანსური განათლების მაღალ დონესთან ასოცირდება.


ფინანსურ მიზნებს შორის ყველაზე გავრცელებულია მიმდინარე სასესხო ვალდებულებების დაფარვა (28%), საკვების შეძენა (25%) და კომუნალური გადასახადების გადახდა (24%), რაც მიაჩნია, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაკავებულია გადაუდებელი ხარჯების დაფარვაზე ზრუნვით და ნაკლებად მოსალოდნელია მათ მიერ გრძელვადიანი ან დიდ ხარჯთან დაკავშირებული მიზნების დასახვა. ფინანსურ მიზნებს შორის ასევე გვხვდება ახალი სახლის შეძენა (21%) და არსებული საცხოვრებლის გარემონტება (21%), ავტომობილის შეძენა (19%) და განათლების მიღება (16%). რაც შეეხება ახალი ბიზნესის დაწყებას – როგორც აღმოჩნდა, ეს მიზანი ქვეყანაში შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული (იხ. დიაგრამა 11.1).

დიაგრამა 11.1 ფინანსური მიზნები (შემთხვევათა პროცენტი)



საქართველოში ტიპურ მოსახლეს საშუალოდ 2 ფინანსური მიზანი აქვს. ქვემო ქართლში, იმერეთსა და სამეგრელოში ფინანსური მიზნების რაოდენობა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება. აჭარაში, გურიასა და მცხეთა-მთიანეთში კი აღნიშნული მაჩვენებელი ძალიან დაბალია (იხ. დიაგრამა 11.2).


დიაგრამა 11.2 ფინანსური მიზნების გადანაწილება რეგიონალურ ჭრილში (საშუალო)



საინტერესოა, რომ ფინანსური მიზნების რაოდენობა მნიშვნელოვნად არ განსხვავდება დასაქმებისა და სქესის ჭრილში, თუმცა სახეზეა მცირედი, მაგრამ ნეგატიური კორელაცია ფინანსური მიზნების რაოდენობასა და ასაკს შორის. კერძოდ, რაც უფრო ასაკოვანია ადამიანი, მით უფრო ნაკლები ფინანსური მიზანი აქვს მას.


იმ ადამიანთა შორის, რომელთაც სულ მცირე ერთი ფინანსური მიზანი მაინც აქვს, 21%-ს მიზნის მისაღწევად არაფერი მოუმოქმედებია, დანარჩენები კი მე-12 დიაგრამაში ჩამოთვლილ ქმედებათაგან ერთ ან რამდენიმე ქმედებას მიმართავენ. როგორც ვხედავთ, ფინანსური მიზნის მისაღწევად მიზნის მქონეთა 31% ამცირებს ხარჯვას, 22% ეძებს ახალ/დამატებით სამუშაოს, და მხოლოდ 15%-ს აქვს მომზადებული კონკრეტული სამოქმედო გეგმა. ამასთან, მიზნის მქონეთა 14% ინახავს ან აბანდებს ფულს, ხოლო 12% ეძებს კრედიტის/სესხის წყაროს.

დიაგრამა 12. ფინანსური მიზნის მისაღწევად განხორციელებული ქმედებები (შემთხვევათა პროცენტი)




იმ რესპონდენტებს, რომლებსაც ერთი ფინანსური მიზანი მაინც აქვთ, მე-12 დიაგრამაში ჩამოთვლილი 10 ქმედებიდან საშუალოდ 1 ქმედება აქვთ განხორციელებული. რეგიონალურ კრილში, იმ ქმედებათა რაოდენობა, რომლებსაც ადამიანი საკუთარი ფინანსური მიზნის შესასრულებლად ახორციელებს, ყველაზე მაღალია ქვემო ქართლში (1.8 ქმედება), ხოლო ყველაზე დაბალია თბილისში (1.2 ქმედება) (იხ. დიაგრამა 12.1).

დიაგრამა 12.1 ფინანსური მიზნის მისაღწევად განხორციელებული ქმედებების გადანაწილება რეგიონალურ კრილში (საშუალო)



ეს ცვლადი სუსტ კორელაციაშია ასაკთან; კერძოდ, განხორციელებულ ქმედებათა რაოდენობა საშუალოზე მაღალია იმ სეგმენტში, რომლის ასაკიც 18-19 წელსა და 29-40 წელს შორის მერყეობს, და საშუალოზე მნიშვნელოვნად დაბალია 70+ ასაკობრივ ჯგუფში (იხ. დიაგრამა 12.2).

დიაგრამა 12.2 ფინანსური მიზნის მისაღწევად განხორციელებული ქმედებების გადანაწილება ასაკის კრილში (საშუალო)



მოსახლეობის სეგმენტაცია ფინანსური მიზნების მისაღწევად გატარებული ქმედებების მიხედვით იმის შესასწავლად, თუ რეალურად რა მოიმოქმედეს ფინანსური მიზნის მქონე რესპონდენტებმა საკუთარი მიზნის მისაღწევად, ჩატარდა განხორციელებულ ქმედებათა ფაქტორული ანალიზი. ჩვეულებრივი სიხშირული ანალიზი მოსახლეობის ქცევების შესახებ შეზღუდულ ინფორმაციას გვთავაზობს და მხოლოდ მიუთითებს, თუ რომელი ქცევებია მოსახლეობაში ყველაზე მეტად გავრცელებული; ფაქტორული ანალიზი კი გვებმარება დავადგინოთ ფინანსურ მიზანთა სისრულეში მოსაყვანად განხორციელებულ ქმედებებს შორის კორელაცია, და შემდეგ, მოვახდინოთ შედეგების ინტერპრეტაცია. ამრიგად, ფაქტორული ანალიზის მიზანია არა სიხშირეების დადგენა, არამედ რესპონდენტთა ქცევის ხასიათის შესწავლა.

ფინანსური მიზნების მისაღწევად გატარებული ქმედებების ფაქტორული ანალიზის მიზნით, მოსახლეობაში ყველაზე გავრცელებული 6 ქმედება 3 ჯგუფად (ანუ, ფაქტორად) დაიყო (იხ. ცხრილი 18). ამ ტიპის დაჯგუფებას ერთობ ინტერპრეტირებადი ხასიათი აქვს.

ცხრილი 18. ფინანსურ მიზანთა შესასრულებლად განხორციელებული ქმედებების ფაქტორული ანალიზი

	1-ელი ჯგუფი: ფინანსურად დაასუსტა საკუთარი თავი	მე-2 ჯგუფი: შეეცადა დამატებითი რესურსის გენერირებას	მე-3 ჯგუფი: გახდა მობილიზებული, გააკეთა დანაზოგი
მომზადად სამოქმედო გეგმა	.218	-.020	.554
გაზარდა საკრედიტო ბარათზე ან სესხზე შესატანი თანხის მოცულობა	.720	-.002	.134
დააგროვა ან დააბანდა ფული	-.199	-.021	.739
მომეზნა ახალი/დამატებითი სამუშაო	.079	.666	-.291
აიღო სესხი	.068	-.779	-.368
შეამცირა ხარჯვა	.462	.348	-.200
გაყიდა პირადი ნივთი	.640	-.021	-.026

ფაქტორული ანალიზით შედგენილი 1-ელი ჯგუფი, ანუ ფაქტორი (“ფინანსურად დაასუსტა საკუთარი თავი”) ისეთ ქმედებებს აერთიანებს, რომლებიც რესპონდენტის არსებული ფინანსური პირობების შესუსტებას იწვევს, კერძოდ: საკრედიტო ბარათზე ან სესხზე შენატანების გაზრდა; ხარჯვის შემცირება; პირადი ნივთის გაყიდვა. ამ ჯგუფში მოხვედრილი რესპონდენტები იყენებენ მათ ხელთ არსებულ საშუალებებს და შეაქვთ ცვლილებები საკუთარ ფინანსურ პირობებში, რათა გამოათავისუფლონ ფინანსური რესურსი დასახული მიზნის მისაღწევად.

ფაქტორული ანალიზით შექმნილი მე-3 ჯგუფი 2 ქმედებას აერთიანებს: სამოქმედო გეგმის მომზადება, და ფულის შენახვა ან დაბანდება. მე-3 ჯგუფს „გამოსავლის ძიების“ სტრუქტურა აქვს და მასში შემავალ რესპონდენტს ფინანსური მიზნის მისაღწევად არსებული ფინანსური რესურსების გამოყენება საკუთარი ფინანსური პირობების მნიშვნელოვნად შეცვლის გარეშე შეუძლია. ის სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს და ნელ-ნელა შეაგროვებს ფულს მიზნის მისაღწევად.

ფაქტორული ანალიზით შექმნილი მე-2 ჯგუფი კი მხოლოდ 1 ქმედებისგან შედგება: ახალი/დამატებითი სამუშაოს ძიება. მაშინ, როდესაც 1-ელ და მე-3 ჯგუფში შემავალი ადამიანები მიზნის მისაღწევად არსებული ფინანსური რესურსების გადანაწილებას ახდენენ (თუმცადა, ამ ჯგუფებს განსხვავებული მიდგომები აქვთ), მე-2 ჯგუფი ხელუხლებლად ტოვებს არსებულ ფინანსურ

რესურსს და უპირატესობას ახალი წყაროების მოძიებას ანიჭებენ დამატებითი სამუშაოს სახით. მე-2 ჯგუფში შემავალი რესპონდენტები მიზნის მისაღწევად უარს ამბობენ ახალი სესხის აღებაზე.

ფაქტორულმა ანალიზმა გვაჩვენა ფინანსური მიზნების შესასრულებლად განხორციელებული ქცევების ხასიათი და ფინანსური მიზნის მქონე მოსახლეობა 3 ნაწილად დაყო, თუმცა ეს ანალიზი ვერ გვაჩვენებს, მოსახლეობის რა ნაწილი ერთიანდება თითოეულ ფაქტორში. ამ უკანასკნელის დასადგენად ჩატარდა კლასტერული ანალიზი, და აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის თითქმის ნახევარი (47%) მე-3 ჯგუფში ერთიანდება – „გახდა მობილიზებული, გააკეთა დანაზოგი“.

ცხრილი 19. კლასტერების ზომა

კლასტერი	რეალური %	ვალიდური % (ფინანსური მიზნის მქონეთა შორის)
1-ლი ჯგუფი: დაასუსტა საკუთარი თავი ფინანსურად გაზარდა საკრედიტო ბარათზე ან სესხზე შენატანი თანხის მოცულობა; შეამცირა ხარჯვა; გაყიდა პირადი ნივთი	10%	18%
მე-2 ჯგუფი: შეეცადა დამატებითი რესურსის გენერირებას მოძებნა ახალი/დამატებითი სამუშაო	20%	35%
მე-3 ჯგუფი: გახდა მობილიზებული, გააკეთა დანაზოგი მოამზადა სამოქმედო გეგმა; დააგროვა ან დააბანდა ფული	27%	47%
სულ:	57%	100%

მათ, ვინც ფინანსური მიზნის მისაღწევად არსებული ფინანსური პირობების/რესურსების დამასუსტებელი ქმედებები განხორციელეს (გაზარდეს საკრედიტო ბარათზე/სესხზე შენატანი, შეამცირეს ხარჯვა, გაყიდეს პირადი ნივთი), ფინანსური განათლების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მიიღეს სამივე ინდიკატორის მიხედვით: ცოდნა, ქცევა და დამოკიდებულება. დანარჩენმა ორმა ჯგუფმა ფინანსური ქცევის იდენტური, თუმცა განსხვავებული დამოკიდებულების, ცოდნისა და ფინანსური განათლების ქულები მიიღო (იხ. ცხრილი 20).


ცხრილი 20. კლასტერები ფინანსური განათლების კრილში

კლასტერი	ცოდნა (მაქს: 7)	ქცევა (მაქს: 9)	დამოკიდებულება (მაქს: 5)	ფინანსური განათლება (მაქს: 21)
1-ლი ჯგუფი: დაასუსტა საკუთარი თავი ფინანსურად გაზარდა საკრედიტო ბარათზე ან სესხზე შენატანი თანხის მოცულობა; შეამცირა ხარჯვა; გაყიდა პირადი ნივთი	4.9	5.5	3.0	13.4
მე-2 ჯგუფი: შეეცადა დამატებითი რესურსის გენერირებას მოძებნა ახალი/დამატებითი სამუშაო	4.9	5.3	3.0	13.2
მე-3 კლასტერი: გახდა მობილიზებული, გაკეთა დანაზოგი მოამზადა სამოქმედო გეგმა; დააგროვა ან დააბანდა ფული	4.7	5.3	2.8	12.8
სულ (მთლიანი მოსახლეობის ფარგლებში)	4.5	5.0	2.8	12.3
სულ (ფინანსური მიზნის მქონეთა შორის)	4.8	5.3	2.9	13.0

საპენსიო თავდაჯერებულობა


პენსიაზე გასვლის შემდეგ საკუთარ ფინანსურ კეთილდღეობაზე ზრუნვა ერთობ ბუნდოვანი ცნება აღმოჩნდა გამოკითხულთა დაახლოებით 71%-თვის. მოსახლეობის 28.9% რამდენადმე დარწმუნებულია, რომ საპენსიო ასაკისათვის ადეკვატური ფინანსური გეგმები დაისახა და აქედან მხოლოდ 11.7% არის აღნიშნულში სრულიად დარწმუნებული (იხ. დიაგრამა 13).

დიაგრამა 13. საპენსიო თავდაჯერებულობა (რეალური პროცენტი)



საქართველოს მოსახლეობა პენსიაზე გასვლის შემდეგ საკუთარი თავის დაფინანსებას ძირითადად სახელმწიფო პენსიით გეგმავს (73%). მოსახლეობის 66%-ს შვილებისა და ოჯახის წევრების იმედი აქვს. 46%-სათვის მეუღლე ან პარტნიორი წარმოადგენს საიმედო დასაყრდენს, მხოლოდ 8% ამყარებს იმედს სამსახურის საპენსიო სქემაზე, და 10%-ს ფინანსური და არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლის იმედი აქვს (იხ. დიაგრამა 14).

დიაგრამა 14. საპენსიო ასაკში საკუთარი თავის დაფინანსების გზები (შემთხვევათა პროცენტი)



მოსახლეობის სეგმენტაცია საპენსიო გეგმების მიხედვით

იმის დასადგენად, არსებობს თუ არა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია საპენსიო ასაკში საკუთარი თავის დაფინანსების სხვადასხვა გეგმებს შორის, ჩატარდა რესპონდენტთა საპენსიო გეგმების ფაქტორული ანალიზი; აღმოჩნდა, რომ კორელაცია ნამდვილად არსებობს. ფაქტორული ანალიზით 3 სხვადასხვა ჯგუფი მივიღეთ, რომელთაგან 1-ლი ჯგუფი დაფინანსების შემდეგ წყაროებს აერთიანებს:

- ფინანსური/არაფინანსური აქტივების გაყიდვა;

- ფინანსური და არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლით თავის დაფინანსება;
- სამსახურის საპენსიო სქემის მეშვეობით თავის დაფინანსება.

1-ლი ჯგუფი დანარჩენი ორი ჯგუფისაგან დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა; მასში შემავალ რესპონდენტებს საპენსიო ასაკში თავის დამოუკიდებლად დაფინანსება საკუთარ ინვესტიციებზე და/ან შრომაზე დაყრდნობით შეუძლიათ, სახელმწიფოსა და ოჯახის წევრებზე დამოკიდებულების გარეშე. ამ ჯგუფს პირობითად *დამოუკიდებელი* ვუწოდეთ.

ამის საპირისპიროდ, მე-2 და მე-3 ჯგუფში შემავალი რესპონდენტები პენსიაზე გასვლის შემდეგ საკუთარი თავის ფინანსური უზრუნველყოფისთვის სხვებს ეყრდნობიან და დამოუკიდებლად თავის რჩენა არ ძალუძთ. უფრო კონკრეტულად, მე-2 ჯგუფში შემავალი რესპონდენტები იმედს შვილებზე, მეუღლესა და ოჯახის სხვა წევრებზე ამყარებენ, მე-3 ჯგუფში გაერთიანებული ადამიანები კი სახელმწიფო პენსიის იმედად არიან, რაც არსებითად, ქვეყანაში საპენსიო ასაკისთვის ძირითად ფინანსურ დასაყრდენს წარმოადგენს. შესაბამისად, მე-2 ჯგუფს პირობითად *ოჯახზე დამოკიდებული*, ხოლო მე-3 ჯგუფს *სახელმწიფოზე დამოკიდებული* ეწოდა.

თუკი ფაქტორული ანალიზის შედეგად მიღებულ ჯგუფებს სიდიდის მიხედვით გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ *ოჯახზე დამოკიდებული* და *მთავრობაზე დამოკიდებული* სეგმენტები ერთობლიობაში მოსახლეობის 80%-ს შეადგენს; შესაბამისად, *დამოუკიდებელი* სეგმენტი რესპონდენტთა მხოლოდ 20%-ს მოიცავს.

ცხრილი 21. საპენსიო გეგმების ფაქტორული ანალიზი

	დამოუკიდებელი	ოჯახზე დამოკიდებული	სახელმწიფოზე დამოკიდებული
სახელმწიფო პენსია	-11%	2%	76%
სამსახურის საპენსიო სქემა	52%	-1%	35%
ფინანსური აქტივების გაყიდვა	69%	3%	-8%
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	64%	6%	-6%
ფინანსური და არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავალი	72%	6%	-5%
მეუღლის ან პარტნიორის დახმარების იმედის ქონა	13%	82%	2%
შვილების ან ოჯახის სხვა წევრების იმედის ქონა	-1%	85%	4%
ზომა	19.83%	39.84%	40.33%

ფინანსური განათლების დონე ყველაზე დაბალია *სახელმწიფოზე დამოკიდებულ* სეგმენტში (21-დან 11.7 ქულა), ხოლო *დამოუკიდებელი* და *ოჯახზე დამოკიდებული* სეგმენტების წარმომადგენლებმა ფინანსური განათლების ერთნაირი საერთო მაჩვენებელი (21-დან 12.8), თუმცა განსხვავებული ცოდნისა და დამოკიდებულების ქულები მიიღეს (იხ. ცხრილი 22).

ცხრილი 22. კლასტერები ფინანსური განათლების ჭრილში

კლასტერი	ცოდნის ქულა (მაქს: 7)	ქცევის ქულა (მაქს: 9)	დამოკიდებულების ქულა (მაქს: 5)	ფინანსური განათლების ქულა (მაქს. 21)
დამოუკიდებელი	4.9	5.2	2.7	12.8
ოჯახზე დამოკიდებული	4.7	5.2	2.9	12.8
სახელმწიფოზე დამოკიდებული	4.1	4.7	2.9	11.7
სულ (მთლიანი მოსახლეობის ფარგლებში)	4.5	5.0	2.8	12.3

შემოსავლების ჭრილში, მეტი ალბათობაა დამოუკიდებელი ჯგუფის წარმომადგენლებს საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე სეგმენტში წავაწყდეთ, ხოლო სახელმწიფოზე დამოკიდებული ჯგუფის წარმომადგენლებს ძირითადად მათ შორის შევხვდებით, ვისი შინამეურნეობის ყოველთვიური საშუალო შემოსავალიც 550 ლარს ან ნაკლებს შეადგენს.

ცხრილი 23. შემოსავლის ჯგუფები კლასტერების ჭრილში

	დამოუკიდებელი	ოჯახზე დამოკიდებული	სახელმწიფოზე დამოკიდებული	სულ (მთლიანი მოსახლეობის ფარგლებში)
შემოსავლის ჯგუფი				
550-მდე	36.2%	49.1%	65.3%	53.1%
551 - 900	21.1%	22.6%	13.7%	18.7%
901 - 1500	17.9%	11.9%	7.9%	11.5%
1501 - 2000	4.6%	4.8%	2.0%	3.6%
2001+	10.6%	5.0%	2.0%	4.9%
უარი პასუხზე	9.6%	6.6%	9.0%	8.2%

საპენსიო თავდაჯერებულობა დემოგრაფიულ ჭრილში

გამოკითხულთა შორის, პენსიაზე გასული სეგმენტი ყველაზე მეტადაა დარწმუნებული, რომ საპენსიო ასაკში საკუთარი თავის ფინანსურად უზრუნველყოფის მიზნით სათანადო გეგმები შეიმუშავა. ამ ჯგუფს მოსდევს თვითდასაქმებული სეგმენტი, ხოლო დიასახლისები და უმუშევარი რესპონდენტები ყველაზე ნაკლებად არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ სათანადოდ ემზადებიან საპენსიო ასაკისთვის (იხ. ცხრილი 24).

თუ მონაცემებს შემოსავლების ჭრილში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ რესპონდენტები, რომელთა შინამეურნეობის ყოველთვიური შემოსავალიც 2000 ლარს აღემატება, ყველაზე მეტად არიან დარწმუნებულნი, რომ საპენსიო ასაკისთვის ეფექტური გეგმები აქვთ შედგენილი. გასაკვირია არაა, რომ რესპონდენტები, რომელთა შინამეურნეობების ყოველთვიური შემოსავალი 550 ლარს არ აღემატება, ამ მიმართულებით თავს ყველაზე ნაკლებად დარწმუნებულად გრძნობენ.

საპენსიო თავდაჯერებულობა ასაკთან ერთად მატულობს; 35 წლამდე ასაკის ინდივიდები ყველაზე ნაკლებ რწმენას აფიქსირებენ საკუთარ საპენსიო გეგმებთან დაკავშირებით.

ცხრილი 24. საპენსიო თავდაჯერებულობა დემოგრაფიულ ჭრილში

სულ %	დასაქმება	თავდაჯერებული	მეტნაკლებად თავდაჯერებული	არ არის თავდაჯერებული	ჯერ არ უფიქრია საპენსიო გეგმების შესახებ	უარი პასუხზე
13.3%	თვითდასაქმებული [საკუთარი ბიზნესი, მეურნეობა]	26.0%	15.1%	31.5%	25.3%	2.1%
22.5%	დასაქმებული ანაზღაურებად სამსახურში	14.5%	9.3%	47.6%	25.4%	3.2%
0.2%	სტაჟიორი			50.0%	50.0%	
14.3%	დიასახლისი	10.9%	10.9%	30.8%	37.8%	9.6%
17.7%	ეძებს სამუშაოს [დროებით უმუშევარი]	11.3%	5.7%	42.8%	35.6%	4.6%
20.9%	პენსიონერი	30.0%	13.9%	45.7%	1.3%	9.1%
1.3%	არ მუშაობს ჯამრთელობის მდგომარეობის გამო		20.0%	33.3%	33.3%	13.3%
6.3%	უმუშევარი და არ ეძებს სამუშაოს	14.5%	13.0%	44.9%	18.8%	8.8%
2.4%	სტუდენტი	17.9%	17.9%	39.2%	25.0%	
0.8%	მოსწავლე				66.7%	33.3%
0.2%	უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე	33.3%		66.7%		
სულ %	შემოსავალი	თავდაჯერებული	მეტნაკლებად თავდაჯერებული	არ არის თავდაჯერებული	ჯერ არ უფიქრია საპენსიო გეგმების შესახებ	უარი პასუხზე
53.2%	550 ლარამდე	17.1%	11.6%	41.1%	22.0%	8.2%
18.8%	551 – 900	21.3%	10.1%	43.5%	23.7%	1.4%
11.5%	901 – 1500	13.4%	8.7%	41.7%	29.9%	6.3%
3.6%	1501 – 2000	22.0%	7.3%	51.2%	17.1%	2.4%
2.1%	2001 და მეტი	31.5%	14.8%	40.7%	11.1%	1.9%
2.7%	არ იცის	10.0%	23.3%	30.0%	23.3%	13.4%
5.4%	უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე	13.6%	3.4%	27.1%	47.5%	8.4%
სულ %	შემოსავლის ჯგუფი	თავდაჯერებული	მეტნაკლებად თავდაჯერებული	არ არის თავდაჯერებული	ჯერ არ უფიქრია საპენსიო გეგმების შესახებ	უარი პასუხზე
53%	თვეში 550 ლარამდე	17.1%	11.6%	41.1%	22.0%	8.2%
19%	თვეში 551–სა და 900 ლარს შორის	21.3%	10.1%	43.5%	23.7%	1.4%
20%	თვეში 901 ლარი და მეტი	19.2%	10.0%	42.9%	23.3%	4.6%
სულ %	ასაკობრივი ჯგუფი	თავდაჯერებული	მეტნაკლებად თავდაჯერებული	არ არის თავდაჯერებული	ჯერ არ უფიქრია საპენსიო გეგმების შესახებ	უარი პასუხზე
14.1%	18 - 25 წლის	10.3%	10.2%	34.0%	41.0%	4.5%
19.8%	26-35 წლის	11.0%	7.8%	34.4%	40.8%	6.0%
18.9%	36-45 წლის	17.8%	9.1%	37.0%	30.8%	5.3%
15.3%	46 - 55 წლის	16.0%	10.1%	48.5%	20.1%	5.3%
14.3%	56 - 65 წლის	24.1%	17.7%	45.6%	5.7%	7.0%
17.6%	66+ წლის	28.7%	12.8%	47.7%	1.5%	9.3%


მოულოდნელი ფინანსური გამოწვევებისთვის მზაობა

რესპონდენტის მზაობა ისეთი მოულოდნელი ფინანსური გამოწვევებისთვის, როგორიცაა შემოსავლის დაკარგვა, მის ჯანსაღ ფინანსურ ჩვევებზე მიუთითებს, რამდენადაც ასეთი სიტუაციებისთვის მზაობა გარკვეულწილად მაინც საჭიროებს ფულის დაზოგვის, ფინანსური დაგეგმვისა და გონივრული ხარჯვის უნარების გამოვლენას. წინამდებარე კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 75% დღესდღეობით მოუმზადებელია მოულოდნელი ფინანსური ხარჯებისათვის. ეს ნიშნავს, რომ თუ რესპონდენტს დღეს პირადად მოუწევდა რაიმე მნიშვნელოვანი ხარჯის გაწევა – მისი ყოველთვიური შემოსავლის ოდენობით – იგი ვერ შეძლებდა ამ ხარჯის ფულის სესხების ან ოჯახისა და მეგობრებისათვის დახმარების თხოვნის გარეშე დაფარვას. მოსახლეობის მხოლოდ 18% აცხადებს, რომ შეუძლია მსგავს შემთხვევებს ფულის სესხების გარეშე გაართვას თავი, ხოლო 7%-მა უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე. იმ სეგმენტის ფინანსური განათლების დონე, რომელიც აცხადებს, რომ თავს გაართმევს შექმნილ ვითარებას ფულის სესხების გარეშე, საკმაოდ მაღალია (63.3 ქულა) იმ სეგმენტის ფინანსური განათლების ქულასთან შედარებით, რომელსაც არ შეუძლია ზემოხსენებული ფინანსური დაბრკოლების დამოუკიდებლად გადალახვა (57.6).

უკიდურეს შემთხვევაში, თუ შინამეურნეობა შემოსავლის ძირითად წყაროს დაკარგავს, გამოკითხულთა 27.8% ერთ კვირაზე ნაკლები დროის განმავლობაში შეძლებს საარსებო ხარჯების დაფარვას სესხის აღების ან ცხოვრების სტანდარტული პირობების შეცვლის გარეშე (მაგ. საცხოვრებელი სახლის ცვლილების გარეშე). გამოკითხული მოსახლეობის 33.2% შეძლებს თავის გატანას ერთ კვირაზე მეტი, მაგრამ ერთ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში, ხოლო 10.9% შეძლებს თავის გატანას ერთ თვეზე მეტი, მაგრამ სამ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში. 5.8% შეძლებს აღნიშნულ ვითარებას 3–დან 6 თვემდე გაართვას თავი, ხოლო 6.1% – 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. დაბოლოს, გამოკითხულთა 16.2% ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს ვერ იძლევა.

ეს ცვლადი საკმაოდ მჭიდრო კავშირშია ფინანსური განათლების საერთო მაჩვენებელთან; რაც უფრო დაბალია ფინანსური განათლების დონე, მით უფრო ნაკლებადაა სეგმენტი მზად ფინანსური გამოწვევებისათვის. იმ სეგმენტის ფინანსური განათლების ქულა, რომელიც ვერ შეძლებს თავის გატანას ერთ კვირაზე მეტხანს, 55.4-ს შეადგენს, ხოლო იმ რესპონდენტების ქულა, რომლებიც ერთ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში შეძლებენ თავის გატანას, საშუალოდ 63.1–ია (იხ. დიაგრამა 15).

დიაგრამა 15. შემოსავლის დაკარგვისას თავის გატანის ხანგრძლივობა (ვალიდური პროცენტი)



ფინანსური პროდუქტების ცნობადობა და გამოყენება

წინამდებარე კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მოსახლეობას სმენია ბაზარზე არსებული ფინანსურ პროდუქტთა უმრავლესობის შესახებ. გამოკითხული მოსახლეობისათვის ყველაზე კარგად ნაცნობი პროდუქტებია: სალომბარდო სესხი, განვადება და ფულადი გზავნილები (იხ. ცხრილი 25).

როგორც მიმდინარე, ისე ბოლო 2 წლის განმავლობაში მოხმარების სიხშირის მიხედვით ყველაზე გავრცელებული პროდუქტებია განვადება, მიმდინარე ანგარიში და სალომბარდო სესხი. როგორც 25-ე ცხრილიდან იკვეთება, მოხმარების სიხშირით განვადებას, მიმდინარე ანგარიშსა და სალომბარდო სესხს არაუზრუნველყოფილი საბანკო სესხი, ფულადი გზავნილი და საკრედიტო ბარათი მოსდევს.


უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშში მოცემული ზოგიერთი ფინანსური პროდუქტის გამოყენების მაჩვენებელი შესაძლოა არაზუსტი იყოს, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტებს სმენიათ 25-ე ცხრილში ჩამოთვლილი ფინანსური პროდუქტების უმრავლესობის შესახებ, სავარაუდოა, რომ მათ კარგად არ ესმით ამ პროდუქტების არსი. საილუსტრაციოდ, მიმდინარე ანგარიში ხშირად სხვა ფინანსურ პროდუქტებთანაა დაკავშირებული (როგორიცაა სტუდენტური ბარათი, დეპოზიტი), და მომხმარებელი, რომელიც ასეთი რომელიმე პროდუქტით სარგებლობს, შეიძლება ვერ აცნობიერებდეს, რომ მიმდინარე ანგარიშსაც ფლობს. ამასთან, სხვადასხვა წყაროები მოწმობს, რომ ფინანსური პროდუქტების სარგებლობის მაჩვენებელი საქართველოში არ არის დაბალი. საილუსტრაციოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) 2016 წლის ფინანსებზე წვდომის კვლევის (Financial Access Survey) მიხედვით, საქართველოში ყოველ 1000 ზრდასრულ ადამიანზე საშუალოდ 1578 საბანკო ანგარიში მოდის, რაც, შესადარის ქვეყნებში დაფიქსირებულ მონაცემებს მნიშვნელოვნად არ ჩამოუვარდება, და რიგ შემთხვევებში, აღემატება კიდევ.¹² დაბოლოს, 25-ე ცხრილის მიხედვით ფინანსური პროდუქტების მოხმარების შედარებით დაბალი მაჩვენებელი შესაძლოა იმითაც იყოს განპირობებული, რომ მასში მხოლოდ ფორმალური ფინანსური პროდუქტებია მოცემული, და არ გაითვალისწინება ისეთი არაფორმალური პროდუქტები, როგორიცაა სესხი მეგობრისგან (რომელიც საკმაოდ გავრცელებულია ქვეყანაში). ამ ცხრილსა და მე-16 დიაგრამაში წარმოდგენილია მოსახლეობაში როგორც მიმდინარე ეტაპზე, ისე უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ფინანსური პროდუქტებით სარგებლობის მაჩვენებელი.

¹² იხ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) 2016 წლის ფინანსებზე წვდომის კვლევა (Financial Access Survey) შემდეგ ბმულზე: <http://data.imf.org/?sk=E5DCAB7E-A5CA-4892-A6EA-598B5463A34C&slid=1460054136937>

ცხრილი 25. ფინანსური პროდუქტების ცნობადობა და გამოყენება



ფინანსური პროდუქტი	ცნობადობა	ამჟამად სარგებლობაში	ბოლო 2 წლის მანძილზე სარგებლობაში	ბოლოს შეძენილი
განვადება	97%	24%	35%	17%
მიმდინარე ანგარიში	88%	26%	26%	7%
სალომბარდო სესხი	97%	18%	24%	8%
საბანკო სესხი უზრუნველყოფის გარეშე	90%	16%	19%	10%
ფულადი გზავნილები	95%	13%	16%	5%
საკრედიტო ბარათი	90%	15%	16%	5%
სწრაფი ე.წ. ონლაინ სესხი	89%	9%	14%	8%
მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სესხი	88%	10%	12%	5%
საბანკო სესხი უზრუნველყოფით	94%	7%	8%	3%
იპოთეკა	92%	5%	7%	2%
დაზღვევა სამსახურიდან	91%	7%	7%	1%
შემნახველი ანგარიში/დეპოზიტი	88%	4%	5%	1%
ინტერნეტ-ბანკი ან სხვა დისტანციური პროდუქტები	80%	6%	6%	1%
კერძო დაზღვევა	85%	2%	2%	0%
აქციები და წილები	82%	1%	1%	0%
ობლიგაციები	77%	0%	0%	0%
სამსახურის საპენსიო სქემა	41%	1%	1%	0%

დიაგრამა 16. ფინანსური პროდუქტებით სარგებლობა დღეს და უკანასკნელი 2 წლის მანძილზე




მოსახლეობის სეგმენტაცია სარგებლობაში არსებული პროდუქტების მიხედვით

საქართველოს მოსახლეობის 29.7% აცხადებს, რომ არცერთი ფინანსური პროდუქტით არ სარგებლობს. გამოკითხულთა 47% ამჟამად 1 ან 2 პროდუქტით, 16% – 3 ან 4 პროდუქტით, ხოლო 7% – 5 ან მეტი პროდუქტით სარგებლობს. რაც უფრო მაღალია მომხმარებლის ასაკი, მით უფრო ნაკლები ფინანსური პროდუქტით სარგებლობს ის (იხ. დიაგრამა 17 და 17.1).


დიაგრამა 17. სარგებლობაში არსებული პროდუქტები (ვალიდური პროცენტი)**დიაგრამა 17.1 სარგებლობაში არსებული პროდუქტების გადანაწილება მოსახლეობაში (ვალიდური პროცენტი)**

რეგიონალურ კრილში, საბანკო პროდუქტების გამოყენების დონე საშუალო საბაზრო მაჩვენებელზე (რომელიც 1.64 პროდუქტს შეადგენს) მნიშვნელოვნად მაღალია მცხეთა-მთიანეთსა და თბილისში; ფინანსური პროდუქტების გამოყენების დონე დაბალია სამეგრელოში, კახეთსა და შიდა ქართლში (იხ. დიაგრამა 17.2). გარდა ამისა, ფინანსური პროდუქტებით სარგებლობის დონე შედარებით მაღალია დასაქმებულ მოსახლეობაში; დასაქმებული სეგმენტის მიერ მოხმარებული საბანკო პროდუქტების საშუალო რაოდენობა ერთ სულზე 2.4-ს შეადგენს, ხოლო დაუსაქმებელზე - 1.2-ს (იხ. დიაგრამა 17.3).

დიაგრამა 17.2 სარგებლობაში არსებული პროდუქტების გადანაწილება რეგიონალურ კრილში (საშუალო)




დიაგრამა 17.3 სარგებლობაში არსებული პროდუქტების გადანაწილება დასაქმების კრილში (საშუალო)



თაღლითობის შემთხვევები

კვლევის შედეგების მიხედვით, ქვეყანაში ფინანსურ პროდუქტებსა და მომსახურებასთან დაკავშირებული ფინანსური თაღლითობების შემთხვევები ძალზე იშვიათია. გამოკითხულთა მხოლოდ 3.1%-ს ჰქონია თანხის სხვისი, თაღლითური რჩევის საფუძველზე დაბანდების გამოცდილება. მოსახლეობის მხოლოდ 2.3%-ს ჰქონია შემთხვევა, რომლის დროსაც ფინანსური ინფორმაცია გასცა ინტერნეტით ან ტელეფონით და შემდგომ აღმოაჩინა, რომ ეს ყველაფერი თაღლითობა იყო. დაბოლოს, გამოკითხულთა მხოლოდ 1.6%-მა განაცხადა, რომ მისი ბარათი გამოუყენებიათ მისი ნებართვის გარეშე.

დიაგრამა 18. თაღლითობის შემთხვევები (რეალური პროცენტი)



ეკონომიკური სტატუსი


კვლევის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს მოსახლეობის ფინანსური შესაძლებლობების მიხედვით სეგმენტაცია 6 სხვადასხვა ნაწილად. შემდგომ მოხდა ამ სეგმენტების შესაბამისი სოციო-ეკონომიკური სტატუსის ქვეშ გაერთიანება.

მე-19 დიაგრამაში მოცემული ბოლო სამი სეგმენტი *ფინანსურად ადაპტირებული* სოციო-ეკონომიკური სტატუსის ქვეშ გაერთიანდა, რამდენადაც ამ სეგმენტებში მოხვედრილ ადამიანებს ისეთი საბაზისო მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლიათ, როგორიცაა საკვებისა და ტანსაცმლის შეძენა, და ამასთან, შედარებით ფართო სამომხმარებლო შესაძლებლობებით ხასიათდებიან. ეს სეგმენტი საქართველოს მთელი მოსახლეობის 28.3%-ს შეადგენს.

დანარჩენი ორი სეგმენტი შედარებით შეზღუდული სამომხმარებლო შესაძლებლობებით ხასიათდება; თუმცა, საბაზისო მოთხოვნები ადამიანებს ამ სეგმენტებშიც მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილებული აქვთ. ამრიგად, ეს ორი სეგმენტი შეიძლება დაჯგუფდეს *ფინანსურად მეტ-ნაკლებად ადაპტირებული* სოციო-ეკონომიკური სტატუსის ქვეშ. ეს სეგმენტები საქართველოს მოსახლეობის 35.9%-ს მოიცავს.

დაბოლოს, საქართველოს მოსახლეობის მესამედს, ანუ 32.4%-ს, უჭირს ფინანსურად თავის გატანა. ეს სეგმენტი *ფინანსურად შეჭირვებული* ეკონომიკური სტატუსის ქვეშ მოხვდა.

დიაგრამა 19. სოციო-ეკონომიკური სტატუსი




მოსახლეობის სეგმენტაცია ფულის მართვის სტილის მიხედვით

ფულის მართვის სტილის მიხედვით მოსახლეობის სეგმენტაცია ფინანსური განათლების ინიციატივების შემუშავების პროცესში საინტერესო და პრაქტიკულ მიმართულებებს გვთავაზობს. წინამდებარე კვლევაში გამოყენებულ იქნა ფულის მართვასთან დაკავშირებული 23 დებულება, რამაც შესაძლებელი გახადა მოსახლეობაში გავრცელებული ფულის მართვის გზების სიღრმისეულად შესწავლა.

23 დებულებაზე მიღებული პასუხების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია საქართველოში ფულის მართვის სტილის მიხედვით 6 სხვადასხვა სეგმენტი გამოვყოთ: ფინანსურად პასუხისმგებლიანი, ფინანსური შიშების მქონე, ბიზნეს-აზროვნების მქონე, ვალით დატვირთული, მხარჯველი, და „შოპაპოლიკი“. ყველაზე დაბალი ფინანსური განათლების ქულები მხარჯველ, „შოპაპოლიკ“ და ფინანსური შიშების მქონე სეგმენტანაა ასოცირებული. ფინანსური შიშების მქონე სეგმენტს ყველაზე შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები აქვს და ამიტომაც, დაბალი ხარჯვითი გამოცდილება გააჩნია, ხოლო მხარჯველი და „შოპაპოლიკი“ რესპონდენტები ე.წ. „აქტიური ხარჯვის“ გამოცდილებით ხასიათდებიან. საქართველოში ყველაზე გავრცელებული ფინანსურად პასუხისმგებლიანი სეგმენტია (მოსახლეობის 34%), რომელსაც ვალით დატვირთული (16%) და ფინანსური შიშების მქონე (22%) სეგმენტები მოსდევს. შემდგომ ქვეთავებში წარმოდგენილია თითოეული სეგმენტის დეტალური აღწერილობა.

დიაგრამა 20. მოსახლეობის სეგმენტაცია ფულის მართვის სტილის მიხედვით



ფინანსურად პასუხისმგებლიანი სეგმენტი

ფინანსური ცოდნა	ფინანსური ქცევა	ფინანსური დამოკიდებულება	ფინანსური განათლება (100-ქულიანი შკალა)	AFFX
ქულა 4.71	ქულა 5.37	ქულა 3.15	ქულა 63.0	107 (↑)

დებულებები, რომლებსაც ამ სეგმენტში შემავალი რესპონდენტები ეთანხმებიან:

- გადასახადებს თავის დროზე ვიხდი
- ვცდილობ ვალის სწრაფად დაბრუნებას, რადგან ეს ძალიან მაწუხებს
- რაიმე ნივთის შეძენამდე ყურადღებით ავწონ-დავწონი, თუ რამდენად შევწვდები მას
- ფულის სესხება შემოიღია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში
- ფული როგორ ძნელადაც იშოვება, ისეთივე სიფრთხილით უნდა დაიხარჯოს
- ჩემს ფინანსებს ზედმიწევნით ვაკონტროლებ და ვგეგმავ



სეგმენტის აღწერილობა

ფინანსურად პასუხისმგებლიანი სეგმენტი ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მსხვილია (34.3%) და მასში ის ადამიანები არიან თავმოყრილნი, რომლებიც პრაქტიკული ფინანსური ქცევებით, ფულის ხარჯვის პროცესში სიფრთხილით, საკუთარი ფინანსების კონტროლით, ვალდებულებების დროულად დაფარვის ჩვევითა და ფინანსების დაგეგმვის უნარით გამოირჩევიან. ეს სეგმენტი საკრედიტო პროდუქტების შეძენისადმი ყველაზე ნაკლებადაა მიდრეკილი. სასესხო ვალდებულებები მას ძალიან აწუხებს და ცდილობს, დროულად გათავისუფლდეს სესხებისგან. ამ სეგმენტის 61%-ს ქალები შეადგენენ, საშუალო ასაკი კი 47.6 წელია. ამ სეგმენტში ყველაზე მაღალია 65 წელს გადაცილებული ადამიანების პროპორცია. ამ სეგმენტის გურიაში, აჭარასა და შიდა ქართლში შეხვედრის ალბათობა მაღალია; კახეთსა და ქვემო ქართლში ამ სეგმენტის პოვნა რთულია, ხოლო სამცხე-ჯავახეთში – ფაქტიურად შეუძლებელი.

ამ სეგმენტის ფინანსური განათლების ქულა საკმაოდ მაღალია და 100 ქულიდან 63.0-ს შეადგენს. ამ მაჩვენებლით, ფინანსურად პასუხისმგებლიანი სეგმენტი, ბიზნეს-აზროვნების მქონე სეგმენტის შემდეგ, ქვეყანაში მეორე ადგილზეა.

	ვალიდური %	AFFX
თბილისი	28.0%	103
ქვემო ქართლი	8.5%	76
იმერეთი	21.7%	126
აჭარა	10.8%	130
შიდა ქართლი	8.7%	122
სამეგრელო	8.2%	82
კახეთი	5.3%	60
სამცხე-ჯავახეთი	1.1%	24
გურია	5.3%	158
მცხეთა-მთიანეთი	2.4%	105

შინამეურნეობის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი	ვალიდური %	AFFX
550 ლარამდე	52.9%	91
551 და 900 ლარი	26.9%	132
901 ლარი და მეტი	20.2%	93
დასაქმების სტატუსი	ვალიდური %	AFFX
დასაქმებული	36.2%	101
დაუსაქმებელი	63.8%	100

დემოგრაფიული პროფილი	D7. ასაკობრივი ჯგუფი						D1 სქესი		დასახლების ტიპი	
	18 -25	26-35	36-45	46 - 55	56 - 65	66 +	მდედრ.	მამრ.	ქალაქი	სოფელი
ვალიდური პროცენტი	14%	17%	19%	14%	15%	21%	61%	39%	62.5%	37.5%
AFFX	100	85	102	88	105	122	113	85	110	87

ფინანსური შიშების მქონე სეგმენტი

ფინანსური ცოდნა	ფინანსური ქცევა	ფინანსური დამოკიდებულება	ფინანსური განათლება (100-ქულიანი შკალა)	AFFX
ქულა 4.26	ქულა 4.52	ქულა 3.02	ქულა 56.2	96 (↓)

დებულებები, რომლებსაც ამ სეგმენტში შემავალი რესპონდენტები ეთანხმებიან:

- ხშირად ვნერვიულობ, რამდენად მოვახერხებ საკუთარი მიმდინარე, ძირითადი ხარჯების დაფარვას
- ჩემი ფინანსური მდგომარეობა არ მაძლევს საშუალებას გავაკეთო ბევრი რამ, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია



სეგმენტის აღწერილობა

ფინანსური შიშების მქონე სეგმენტი მოცულობით ქვეყანაში მეორე ადგილზეა (21.6%). ეს სეგმენტი მწირი ფინანსური შესაძლებლობებითა და ფინანსურ საკითხებთან მიმართებაში შიშითა და დაუცველობის გრძნობით გამოირჩევა. ამ სეგმენტის 53.4% სოფლად გვხვდება, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია იმის გათვალისწინებით, რომ რეალურად, საქართველოს მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 43% ცხოვრობს სოფლად. ამ სეგმენტის საშუალო ასაკი 46.1 წელია, და სწორედ აქ გვხვდება ყველაზე მეტი რესპონდენტი, რომელთა ასაკიც 56-სა და 65 წელს შორის მერყეობს. ამასთან, ამ სეგმენტის დიდი ნაწილი დაუსაქმებელია. რეგიონულ ჭრილში ამ სეგმენტს ყველაზე ხშირად სამცხე-ჯავახეთში, კახეთსა და ქვემო ქართლში შევხვდებით. თბილისსა და იმერეთში ამ სეგმენტის პროპორცია საშუალოზე მკვეთრად დაბალია. ისევე, როგორც ფინანსურად პასუხისმგებელიანი სეგმენტის შემთხვევაში, ამ სეგმენტშიც ქალების პროპორცია ბაზრის საშუალო მაჩვენებელზე ოდნავ მაღალია.

ამ სეგმენტის ფინანსური განათლების ქულა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია და 100-დან 56.2 ქულას შეადგენს.

	ვალიდური %	AFFX
თბილისი	19.3%	71
ქვემო ქართლი	13.9%	124
იმერეთი	12.6%	73
აჭარა	7.6%	91
შიდა ქართლი	6.7%	94
სამეგრელო	10.9%	110
კახეთი	14.7%	166
სამცხე-ჯავახეთი	9.2%	212
გურია	2.9%	88
მცხეთა-მთიანეთი	2.1%	93

შინამეურნეობის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი	ვალიდური %	AFFX
550 ლარამდე	75.0%	130
551 და 900 ლარი	11.8%	58
901 ლარი და მეტი	13.2%	61
დასაქმების სტატუსი	ვალიდური %	AFFX
დასაქმებული	36.2%	101
დაუსაქმებელი	63.8%	100

დემოგრაფიული პროფილი	D7. ასაკობრივი ჯგუფი						D1 სქესი		დასახლების ტიპი	
	18 - 25	26 - 35	36 - 45	46 - 55	56 - 65	66 +	მდედრ.	მამრ.	ქალაქი	სოფელი
ვალიდური პროცენტი	13%	20%	15%	17%	17%	18%	61%	39%	46.6%	53.4%
AFFX	93	102	77	112	120	100	114	84	82	123

ბიზნეს-აზროვნების მქონე სეგმენტი

ფინანსური ცოდნა

ქულა
4.89

ფინანსური ქცევა

ქულა
6.19ფინანსური
დამოკიდებულებაქულა
2.69ფინანსური განათლება
(100-ქულიანი შკალა)ქულა
65.6 AFX
112 (↑)

დებულებები, რომლებსაც ამ სეგმენტში შემავალი რესპონდენტები ეთანხმებიან:

- მიზნად ვისახავ გრძელვადიან ფინანსურ მიზნებს და ცვდილობ მათ მიღწევას
- ყოველთვის კანაწილებ ყოველთვიურ შემოსავალს ისე, რომ თუნდაც მცირე დანაზოგის გაკეთების საშუალება მქონდეს
- მზად ვარ ცოტაოდენი რისკისთვის, როდესაც თანხას ვაგროვებ ან ვაკეთებ რაიმე ინვესტიციას



სეგმენტის აღწერილობა

ბიზნეს-აზროვნების მქონე სეგმენტი მოსახლეობის მხოლოდ 11.7%-ს შეადგენს. ამ სეგმენტის საშუალო ასაკი ქვეყანაში ყველაზე დაბალი – 41.1 წელია. ამ სეგმენტში ასაკობრივი ჯგუფების პროპორცია დარღვეულია 18-დან 45 წლამდე ასაკობრივი ჯგუფების სასარგებლოდ; სხვა სიტყვებით, იმის ალბათობა, რომ ამ სეგმენტში შევხვდებით 18-45 წლის ადამიანებს ბაზრის საშუალო მაჩვენებელზე მკვეთრად მაღალია. ამ სეგმენტში თითქმის ვერ შევხვდებით 66 წელზე უფროს ადამიანებს.

ქვეყანაში ბიზნეს-აზროვნების მქონე მამაკაცი უფრო მეტია, ვიდრე ქალი. ამ სეგმენტს ყველაზე ხშირად თბილისში შევხვდებით (37.7%), და შემდგომ უკვე ქვემო ქართლსა (12.3%) და სამეგრელოში (11.5%). სეგმენტის ქართლში, აჭარასა და მცხეთა-მთიანეთში შეხვედრის ალბათობა დაბალია, ხოლო გურიაში პრაქტიკულად ნულს უტოლდება. ბიზნეს-აზროვნების მქონე ადამიანი შემოსავალს ისე ანაწილებს, რომ დანაზოგის გაკეთების შესაძლებლობა დარჩეს, მიზნად ისახავს გრძელვადიან ფინანსურ გეგმებს, ცდილობს მეტის მიღწევას და არ უშინდება გეგმაზომიერ რისკს. შესაბამისად, ეს სეგმენტი ფინანსურად ყველაზე შემდგარია.

ბიზნეს-აზროვნების მქონე სეგმენტმა ფინანსური განათლების ყველაზე მაღალი ქულა მიიღო ქვეყანაში (100-დან 65.6 ქულა).

	ვალიდური %	AFX
თბილისი	37.7%	138
ქვემო ქართლი	12.3%	110
იმერეთი	16.2%	94
აჭარა	5.4%	65
შიდა ქართლი	3.1%	43
სამეგრელო	11.5%	116
კახეთი	8.5%	95
სამცხე-ჯავახეთი	3.8%	88
გურია	0.0%	0
მცხეთა-მთიანეთი	1.5%	68

შინამეურნეობის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი	ვალიდური %	AFX
550 ლარამდე	37.5%	65
551 და 900 ლარი	15.8%	78
901 ლარი და მეტი	46.7%	215
დასაქმების სტატუსი	ვალიდური %	AFX
დასაქმებული	58.9%	164
დაუსაქმებელი	40.3%	63

დემოგრაფიული პროფილი	D7. ასაკობრივი ჯგუფი						D1 სქესი		დასახლების ტიპი	
	18 -25	26-35	36-45	46 - 55	56 - 65	66 +	მდედრ.	მამრ.	ქალაქი	სოფელი
ვალიდური პროცენტი	15%	23%	28%	13%	11%	10%	33%	67%	60.9%	39.1%
AFX	106	115	148	87	76	58	62	145	107	90

ვალით დატვირთული სეგმენტი

ფინანსური ცოდნა	ფინანსური ქცევა	ფინანსური დამოკიდებულება	ფინანსური განათლება (100-ქულიანი შკალა)	AFFX
ქულა 4.49	ქულა 4.79	ქულა 2.84	ქულა 57.7	98

დებულებები, რომლებსაც ამ სეგმენტში შემავალი რესპონდენტები ეთანხმებიან:

- ამ ეტაპზე ზედმეტად ბევრი ვალი მაქვს
- ხელფასიდან ხელფასამდე ვალებით გამაქვს თავი
- სულ ვცდილობ გავანაწილო ყოველთვიური შემოსავალი და არ გამომდის, მაინც უაზროდ მეხარჯება



სეგმენტის აღწერილობა

ვალით დატვირთული სეგმენტი ვალებშია ჩაფლული და უჭირს როგორც ხელფასიდან ხელფასამდე თავის გატანა, ისე საკუთარი მწირი ფინანსური შესაძლებლობების მართვა, მიუხედავად განმეორებითი მცდელობებისა. აღნიშნული სეგმენტის 80%-ს მიმდინარე სესხი აქვს. ამ სეგმენტის სტრუქტურა დასახლების ტიპისა და გენდერულ ჭრილში ბაზრის საშუალო მონაცემებთანაა მიახლოებული; სეგმენტის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი კი ასაკი და რეგიონული გადანაწილებაა. ასაკობრივ ჯგუფებს შორის ამ სეგმენტში 66 წელს გადაცილებული ადამიანებისა და 18-25 წლის ახალგაზრდების პროპორცია ბაზრის საშუალო მონაცემებზე მკვეთრად დაბალია. სამაგიეროდ, გაზრდილია 36-დან 55 წლამდე ასაკობრივი ჯგუფების წილი. რეგიონულ ჭრილში, ამ სეგმენტს ძირითადად მცხეთა-მთიანეთში, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში შევხვდებით.

ვალით დატვირთული სეგმენტის ფინანსური განათლების მაჩვენებელი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია და 100-დან 57.7 ქულას შეადგენს.

	ვალიდური %	AFFX
თბილისი	26.0%	95
ქვემო ქართლი	9.9%	89
იმერეთი	14.9%	87
აჭარა	7.7%	93
შიდა ქართლი	11.6%	162
სამეგრელო	7.7%	78
კახეთი	9.9%	112
სამცხე-ჯავახეთი	6.1%	140
გურია	2.2%	66
მცხეთა-მთიანეთი	3.9%	171
შინამეურნეობის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი	ვალიდური %	AFFX
550 ლარამდე	65.9%	114
551 და 900 ლარი	20.4%	100
901 ლარი და მეტი	13.8%	63
დასაქმების სტატუსი	ვალიდური %	AFFX
დასაქმებული	29.4%	82
დაუსაქმებელი	69.4%	109

დემოგრაფიული პროფილი	D7. ასაკობრივი ჯგუფი						D1 სქესი		დასახლების ტიპი	
	18 - 25	26 - 35	36 - 45	46 - 55	56 - 65	66 +	მდედრ.	მამრ.	ქალაქი	სოფელი
ვალიდური პროცენტი	10%	25%	23%	18%	13%	12%	59%	41%	54.4%	45.6%
AFFX	68	124	121	120	90	66	109	90	96	105

მხარჯველი სეგმენტი

ფინანსური ცოდნა	ფინანსური ქცევა	ფინანსური დამოკიდებულება	ფინანსური განათლება (100-ქულიანი შკალა)	AFFX
ქულა	ქულა	ქულა	ქულა	
4.43	4.19	1.70	49.2	84(↓)

დებულებები, რომლებსაც ამ სეგმენტში შემავალი რესპონდენტები ეთანხმებიან:

- უფრო მეტ სიამოვნებას მანიჭებს ფულის ხარჯვა, ვიდრე მისი გადადება და დაგროვება გრძელვადიანი მიზნებისათვის
- დღევანდელი დღით ვცხოვრობ და ნაკლებად ვღელავ ხვალისდღელ დღეზე
- ფული იმისთვისაა, რომ დაიხარჯოს



სეგმენტის აღწერილობა

მხარჯველ სეგმენტში ყველაზე ხშირად 18–25 წლის ახალგაზრდებს შევხვდებით და მასში მამაკაცების წილი ქალების წილთან შედარებით მკვეთრად მაღალია. რეგიონულ კრილში, ამ სეგმენტის წარმომადგენლები ყველაზე ხშირად თბილისსა და სამეგრელოში გვხვდებიან. ძალიან დაბალია ალბათობა იმისა, რომ ამ სეგმენტის წარმომადგენლებს შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში შევხვდეთ.

მხარჯველი სეგმენტი მიიჩნევს, რომ საკუთარი სიამოვნებისთვისაა შექმნილი და ფულიც სწორად ამ მიზანს უნდა ემსახუროდეს. ამ სეგმენტში მოხვედრილი ადამიანები დღევანდელი დღით ცხოვრობენ, ნაკლებად ღელავენ მომავალზე, და ორიენტაციას მოკლევადიან მიზნებსა და ხარჯვაზე აკეთებენ. შესაბამისად, ხარჯვისაგან სიამოვნების მიმღები სეგმენტის წარმომადგენლები ნაკლებად ინახავენ ფულს.

ამ სეგმენტის ფინანსური განათლების მაჩვენებელი ქვეყანაში ყველაზე დაბალია და 100–დან 49.2 ქულას უტოლდება.

	ვალიდური %	AFFX
თბილისი	36.4%	133
ქვემო ქართლი	11.9%	106
იმერეთი	15.3%	89
აჭარა	5.9%	71
შიდა ქართლი	3.4%	47
სამეგრელო	12.7%	127
კახეთი	8.5%	95
სამცხე-ჯავახეთი	1.7%	39
გურია	2.5%	76
მცხეთა-მთიანეთი	1.7%	75

შინამეურნეობის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი	ვალიდური %	AFFX
550 ლარამდე	53.3%	92
551 და 900 ლარი	17.8%	87
901 ლარი და მეტი	29.0%	133

დასაქმების სტატუსი	ვალიდური %	AFFX
დასაქმებული	39.8%	111
დაუსაქმებელი	60.2%	94

დემოგრაფიული პროფილი	D7. ასაკობრივი ჯგუფი						D1 სქესი		დასახლების ტიპი	
	18 - 25	26 - 35	36 - 45	46 - 55	56 - 65	66 +	მდედრ.	მამრ.	ქალაქი	სოფელი
ვალიდური პროცენტი	19%	16%	12%	16%	16%	22%	36%	64%	61.0%	39.0%
AFFX	136	83	64	101	108	123	66	140	107	90

„შოპაპოლიკი“ სეგმენტი

ფინანსური ცოდნა

ქულა
3.99

ფინანსური ქცევა

ქულა
3.82

ფინანსური
დამოკიდებულება

ქულა
2.74

ფინანსური განათლება
(100-ქულიანი შკალა)

ქულა
50.2

AFFX
85 (↓)

დებულებები, რომლებსაც ამ სეგმენტში შემავალი
რესპონდენტები ეთანხმებიან:

- ზოგჯერ მოულოდნელად, სპონტანურად ვიყიდი რაღაცას, და გვიან ვაცნობიერებ, რომ არ მქონდა ახლა ამის საშუალება
- მაღიზიანებს ისეთი ადამიანი, რომელიც მუდმივად ფულს ანაწილებს და ითვლის
- თუ რაღაც ძალიან მინდა, ამისთვის ფულს ვისესხებ კიდეც



სეგმენტის აღწერილობა

თავისი ბუნებით, „შოპაპოლიკი“ სეგმენტი მხარჯველ სეგმენტს წააგავს. „შოპაპოლიკები“ სამომხმარებლო სურვილებს ფინანსურ შესაძლებლობებზე წინ აყენებენ, ფულს საკუთარი სურვილების დასაკმაყოფილებლად სესხულობენ, ყიდვასთან დაკავშირებით სპონტანურ გადაწყვეტილებებს იღებენ და აღიზიანებით ადამიანები, რომლებიც მუდმივად ფულს ითვლიან და ანაწილებენ. მხარჯველი სეგმენტი ზოგადად ხარჯვაზეა ორიენტირებული, ხოლო „შოპაპოლიკები“ კონკრეტულ სამომხმარებლო ცდუნებებზე ახდენენ კონცენტრაციას. საინტერესოა, რომ ამ სეგმენტშიც მამაკაცების პროპორცია მაღალია. ასაკობრივ ჭრილში, ამ სეგმენტში 18-დან 35 წლამდე რესპონდენტების წილი საშუალოზე მაღალია, ხოლო 56-65 წლის რესპონდენტების წილი – მკვეთრად დაბალი. ეს სეგმენტი ძირითადად სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელოში, ქვემო ქართლში, გურიასა და ნაწილობრივ იმერეთში გვხვდება. თითქმის ნულოვანია ამ სეგმენტის მცხეთა-მთიანეთსა და ქვემო ქართლში პოვნის ალბათობა. ხარჯვისაგან სიამოვნების მიმღები სეგმენტისგან განსხვავებით, „შოპაპოლიკებს“ შორის თბილისელების პროპორცია ყველა სხვა სეგმენტთან შედარებით დაბალია.

„შოპაპოლიკების“ ფინანსური განათლების ქულა საკმაოდ დაბალია და 110-დან 50.2 ქულას შეადგენს.

	ვალიდური %	AFFX
თბილისი	17.2%	63
ქვემო ქართლი	17.2%	155
იმერეთი	20.7%	120
აჭარა	8.6%	103
შიდა ქართლი	1.7%	24
სამეგრელო	15.5%	156
კახეთი	6.9%	78
სამცხე-ჯავახეთი	6.9%	158
გურია	5.2%	154
მცხეთა-მთიანეთი	0.0%	0

შინამეურნეობის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი	ვალიდური %	AFFX
550 ლარამდე	50.0%	86
551 და 900 ლარი	28.8%	142
901 ლარი და მეტი	21.2%	97
დასაქმების სტატუსი	ვალიდური %	AFFX
დასაქმებული	36.2%	101
დაუსაქმებელი	63.8%	100

დემოგრაფიული პროფილი	D7. ასაკობრივი ჯგუფი						D1 სქესი		დასახლების ტიპი	
	18 - 25	26 - 35	36 - 45	46 - 55	56 - 65	66 +	მდედრ.	მამრ.	ქალაქი	სოფელი
ვალიდური პროცენტი	21%	22%	17%	14%	7%	19%	46%	54%	50.0%	50.0%
AFFX	148	113	91	90	48	108	85	118	88	116

დასკვნითი დებულებები

თანამედროვე სამყაროში, სადაც ფინანსური სისტემა ყოველდღიურად ვითარდება და იხვეწება, იზრდება ფინანსური მომსახურებების როგორც ხელმისაწვდომობა, ისე კომპლექსურობა. შესაბამისად, მოსახლეობის ფინანსების გონივრულად მართვისა და სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების უნარებით აღჭურვას საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება.

წინამდებარე კვლევა საქართველოში ფინანსური განათლებისა და ჩართულობის არსებული დონის შესწავლას ემსახურება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში უკეთ ინფორმირებული ამოცანების დასახვის, სწორი მიდგომების შერჩევისა და რესურსების გონივრულად გადანაწილების მიზნით. სამომავლოდ, იგეგმება მსგავსი მასშტაბის კვლევების რამდენიმეწლიანი შუალედებით გამეორება, რათა შეფასდეს მიღწეული პროგრესი, გამოაშკარავდეს არსებული სირთულეები და დაისახოს ახალი მიზნები.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები ხაზს უსვამს შემდეგს:

- **მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტების ფინანსური განათლების დონე არათანაბარია** – მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებმა – ასაკის, განათლების დონის, დასაქმების სტატუსის, შემოსავლის დონის, ენობრივი ჯგუფის, დასახლების ტიპის და სხვა დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით – არათანაბარი ფინანსური განათლების ქულა მიიღეს, რაც მათ განსხვავებულ საჭიროებებზე მიუთითებს. საილუსტრაციოდ, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულმა და უმუშევარმა სეგმენტებმა გაცილებით სუსტი ფინანსური ცოდნა და უნარები გამოავლინეს, ვიდრე დანარჩენმა მოსახლეობამ. ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას ყურადღება სამიზნე სეგმენტის თავისებურებებს უნდა მიექცეს, რამდენადაც ერთი და იგივე ტიპის მასალა ყველა სეგმენტისთვის ვერ იქნება შესაფერისი.
- **მნიშვნელოვანია მოსახლეობის ფინანსური ცოდნის გაღრმავება** – OECD/INFE-ს მეთოდოლოგიის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 54% ფინანსურად მეტნაკლებად მცოდნედ შეიძლება ჩაითვალოს. თუმცადა, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ცოდნის შემამოწმებელ მარტივ შეკითხვებზე (მაგ. გაყოფისა და სესხზე პროცენტის დარიცხვის „მარტივი“ მეთოდის შესახებ) სწორად შეუძლია უპასუხოს, შედარებით გართულებული შეკითხვები მათთვის გამოწვევად რჩება. შესაბამისად, იკვეთება შედარებით რთული, მაგრამ მნიშვნელოვანი ფინანსური ცნებების (როგორიცაა, რისკის დივერსიფიკაცია, დეპოზიტზე „რთული პროცენტის“ დარიცხვის მეთოდი, ფულის ღირებულება დროში) სწავლების საჭიროება. რეკომენდირებულია ამ საკითხების სწავლება სკოლის ასაკიდან დაიწყოს, რათა ზრდასრულმა ადამიანმა ამ ცნებების პრაქტიკაში თავდაჯერებულად გამოყენება შეძლოს.
- **ფინანსურ განათლებასთან ერთად, ყურადღება ფინანსურ ქცევებსაც უნდა დაეთმოს** – მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში გავრცელებულია ისეთი პასუხისმგებლობით აღსავსე ქცევები, როგორიცაა გადასახადების დროულად გადახდა და რაიმე ნივთის შეძენამდე ფინანსური შესაძლებლობების აწონ-დაწონვა, ხშირად გვხვდება ისეთი ქცევებიც, რომლებსაც ფინანსურად არასახარბიელო შედეგებამდე მივყავართ. მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებლებმა ჩვევად აქციონ პირადი და შინამეურნეობის ბიუჯეტის შედგენა, აქტიური დაზოგვა და გრძელვადიანი მიზნების დასახვა, რათა მათი ფინანსური გადაწყვეტილებები ფართო ფინანსური გეგმის ნაწილს წარმოადგენდეს, და

არა სპონტანურ და გაუზრებელ ნაბიჯებს. საყურადღებოა, რომ ფინანსური პროდუქტის/მომსახურების შეძენამდე მოსახლეობის 23.5% სხვადასხვა შეთავაზებებს არ განიხილავს, რაც ნიშნავს, რომ ეს ადამიანები შესაძლოა ამა თუ იმ მომსახურებისთვის არაგონივრულად ბევრს იხდიდნენ, ან პოტენციური სარგებლის ნაწილს კარგავდნენ. როგორც კვლევამ წარმოაჩინა, ეს უკანასკნელი სათანადო ფინანსური ქცევების არქონით უფრო არის გამოწვეული, ვიდრე არჩევანის ნაკლებობით. ასევე საყურადღებოა, რომ გამოკითხულთა 45% ფულს სესხულობს, რათა გაუმკლავდეს ისეთ მოულოდნელ ფინანსურ სირთულეებს, როგორიცაა შემოსავლის უკმარისობა. ძალზე მნიშვნელოვანია მოსახლეობამ გაიაზროს, რომ მიზანშეწონილია გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის ფინანსური გეგმების დასახვა, და ამგვარ სიტუაციებში, უმჯობესია სესხების ნაცვლად სხვა გამოსავალი ეძიონ. აქვე, იკვეთება პოზიტიური კავშირი დაზოგვის ჯანსაღ კულტურასა და ფინანსურად თავის გატანის მაჩვენებელს შორის; დაზოგვის კულტურის არმქონე მოსახლეობა კი ხშირად შეიძლება ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდეს, სადაც ადამიანი ახალ სესხს ძველის დასაფარად იღებს. სასარგებლო ფინანსური ქცევების წახალისების მიზნით, მნიშვნელოვანია არსებობდეს სპეციალური არხები, სადაც სანდო და შედარებადი ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი, როგორიცაა, რესურსცენტრები, ინტერნეტ-პორტალები და მობილური არხები. გარდა ამისა, რეკომენდირებულია დაზოგვის სარგებლიანობის შესახებ კამპანიების გააქტიურება და დაზოგვის ხელშეწყობისთვის სხვადასხვა მექანიზმების შემუშავება და გავრცელება.








- **ერთ-ერთ პრიორიტეტად ქვეყანაში გავრცელებული ფინანსური დამოკიდებულებების პოზიტიურად ცვლილება იკვეთება** – მოსახლეობის მხოლოდ 34% ხასიათდება ფინანსების გრძელვადიანი ხედვით და გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ფული იმისთვისაა, რომ დაიხარჯოს. მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობამ გაიაზროს გრძელვადიანი ფინანსური დაგეგმვის სარგებლიანობა, ამისთვის კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ცნობიერების ამაღლებისადმი მიმართულ კამპანიებსა სხვა საგანმანათლებლო ინიციატივებს ენიჭება. ამასთან, მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებში, მათ შორის, სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში, რამდენადმე გავრცელებულია ფინანსური შიშები, რაც ამცირებს გახსნილობას როგორც გამოსადეგი რჩევებისა და ინფორმაციის მიღების, ისე თავდაჯერებული ფინანსური ნაბიჯების გადადგმის მიმართ. მომავალში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ამ სეგმენტისთვის საგანმანათლებლო ინიციატივების განვითარების პროცესში სწორი საკომუნიკაციო სტრატეგიების შერჩევა.
- **ფინანსური განათლების გავრცელების საქმეში მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება ფინანსური მიზნების სარგებლიანობას დაეთმოს** – ფინანსური მიზნის ქონა ფინანსური განათლების კარგ საზომად შეიძლება ჩაითვალოს; ფინანსური განათლების დონე გაცილებით მაღალია იმ სეგმენტში, რომელსაც 1 ფინანსური მიზანი მაინც გააჩნია. ფინანსური მიზნების მქონე ადამიანები საკუთარი ფინანსური საკითხების მოგვარებისას მეტად ინფორმირებულები, თავდაჯერებულები და ინიციატივიანები არიან; ამის საპირისპიროდ, ფინანსური მიზნების არქონამ შეიძლება გამოიწვიოს ზედმეტად დიდი ხარჯების გაწევა მიმდინარე საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე, გააუარესოს ფინანსური ჩართულობის მაჩვენებლები და საფრთხის ქვეშ დააყენოს ფინანსური უსაფრთხოება გრძელვადიან პერსპექტივაში. ამრიგად, რეკომენდირებულია ფინანსური მიზნების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ისეთი დამხმარე მექანიზმების (მაგ.





კალკულატორები, სიმულაციური თამაშები, და ა.შ.) განვითარება, რომლებიც ადამიანებს საკუთარი მიზნის მისაღწევად ფინანსების გონივრულად მართვისა და ბიუჯეტირებისკენ უბიძგებს.

- **საკომუნიკაციო-საინფორმაციო არხებს შორის მოსახლეობაში ყველაზე გავრცელებული ტელევიზორი და მობილური ტელეფონია** - გამოყენების სიხშირის მიხედვით ტელევიზორსა და მობილურ ტელეფონს კომპიუტერი და ინტერნეტი, ჟურნალ-გაზეთები და რადიო მოსდევს. შესაბამისად, ფინანსური განათლების გავრცელების კუთხით რეკომენდირებულია როგორც შემეცნებითი ტელე-გადაცემებისა და ვებ-გვერდების, ისე საგანმანათლებლო-შემახსენებელი ტექსტური შეტყობინებებისა და საგაზეთო სტატიების განვითარება.


დაბოლოს, ფინანსური განათლების ჩარჩოსა და მიდგომების გაუმჯობესება კომპლექსური გამოწვევაა; შესაბამისად, უახლოესი წლების განმავლობაში, კერძო და საჯარო დაინტერესებულ მხარეებს შორის ახლო და კოორდინირებულ თანამშრომლობას, მრავალფეროვანი მიდგომებისა და როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური საგანმანათლებლო სივრცეების გამოყენებას კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

დანართი 1: დემოგრაფიული მონაცემები







შინამეურნეობის სუფთა შემოსავალი (ლარი) (ვალიდური პროცენტი)




შინამეურნეობის დაჯგუფებული შემოსავალი (ლარი) (ვალიდური პროცენტი)



შინამეურნეობის წევრები (ვალიდური პროცენტი)



ჩვევა – უკანასკნელი 7 დღის გამოცდილება (ვალიდური პროცენტი)



დანართი 2: სტატისტიკური ანალიზის მოდელების აღწერა

ფაქტორული ანალიზის განმარტება

ფაქტორული ანალიზი, იგივე კომპონენტური ანალიზი, იმ პროცედურების ზოგადი სახელია, რომლებიც მონაცემთა შემცირებისა და შეჯამებისათვის გამოიყენება. ფაქტორული ანალიზი არსებული ცვლადების რაოდენობის რედუცირებას, ანუ შემცირებას ემსახურება, მათი გაერთიანების გზით. ცვლადების გაერთიანება კი მათ შორის კორელაციური კავშირის გათვალისწინებით ხება; ერთად ის ცვლადები/მახასიათებლები იყრიან თავს, რომელთა შორისაც არსებობს გარკვეული კავშირი.

ფაქტორული ანალიზი შემდეგ შემთხვევებში გამოიყენება:

- ცვლადებს შორის კორელაციის ამხსნელი ფაქტორების დასადგენად;
- ცვლადების დიდი წყებიდან შედარებით პატარა, გამორჩეული ცვლადების საიდენტიფიკაციოდ.

მათემატიკურად, თითოეული ცვლადი გამოიხატება, როგორც ძირითად ფაქტორთა სწორხაზოვანი კომბინაცია. ცვლადებს შორის კო-ვარიაცია აღიწერება, როგორც საერთო ფაქტორების მცირე ჯგუფს დამატებული განსაკუთრებული ფაქტორი თითოეული ცვლადისთვის. თუ მოხდება ცვლადების სტანდარტიზაცია, ფაქტორის მოდელი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად:

$$X_i = A_{i1}F_1 + A_{i2}F_2 + A_{i3}F_3 + \dots + A_{im}F_m + V_iU_i$$

სადაც

$X_i = i$ th სტანდარტიზირებული ცვლადი

A_{ij} = სტანდარტიზირებული რეგრესიის კოეფიციენტი i ცვლადის საერთო ფაქტორზე j

F = საერთო ფაქტორი

V_i = სტანდარტული რეგრესიული კოეფიციენტი i ცვლადის განსაკუთრებულ ფაქტორ i ზე

U_i = განსაკუთრებული ფაქტორი ცვლადისთვის i

m = საერთო ფაქტორების რიცხვი

განსაკუთრებული ფაქტორები არ კორელირებენ ერთმანეთთან და საერთო ფაქტორთან. საერთო ფაქტორები, თავისთავად, შეიძლება გამოხატული იყოს, როგორც დაკვირვების ქვეშ მყოფი ცვლადების სწორხაზოვანი კომბინაცია:

$$F_i = W_{i1}X_1 + W_{i2}X_2 + W_{i3}X_3 + \dots + W_{ik}X_k$$

სადაც

F_i = i th ფაქტორის დადგენა

W_i = ფაქტორის ქულის კოეფიციენტის წონა

k = ცვლადების რაოდენობა

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ფაქტორული ანალიზის მეთოდი საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით დაჯგუფების მიზნით გამოვიყენეთ, რათა მოგვეხდინა ჯგუფების ინდივიდუალური ანალიზი. ეს კრიტერიუმებია: ფინანსური მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებები; მოსახლეობის საპენსიო გეგმები; ხმარებაში არსებული საბანკო პროდუქტები და ფულის მართვის სტილი.

შესაბამისობის ინდექსის (Affinity Index) განმარტება

შესაბამისობის ინდექსი, ანუ Affinity Index, სპეციფიურ ჯგუფში გარკვეული ინდიკატორების პროპორციას წარმოაჩენს იმავე ინდიკატორებთან მთელ მოსახლეობაში. წინამდებარე კვლევის ფარგლებში, შესაბამისობის ინდექსი გამოყენებული იქნა კონკრეტული ჯგუფების მახასიათებლების ხაზგასასმელად.

მაგალითი 1:

საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების საშუალო ქულა მაქსიმალური 100 ქულიდან 58.8-ს შეადგენს. ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებულთაგან ყველაზე მაღალი ფინანსური განათლების მაჩვენებელი მენეჯმენტის ჯგუფში ფიქსირდება, სადაც ფინანსური განათლების ქულა 70.9-ს უდრის (AFFX 121).

შესაბამისობის ინდექსს უმაღლესი მენეჯმენტის ჯგუფისთვის შემდეგნაირად დავითვლიდით: მენეჯმენტის ჯგუფის ფინანსური განათლების ქულა X 100 / საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების საშუალო ქულა, ანუ $70.9 \times 100 / 58.8 = 121$

დასკვნა:

21%-ით მეტია ალბათობა შევხვდეთ საშუალოზე მაღალი ფინანსური განათლების მქონე პირს უმაღლესი მენეჯმენტის რგოლში, ვიდრე ზოგადად მოსახლეობაში.

მაგალითი 2:

საქართველოს მოსახლეობის 47% მამრობითი სქესის წარმომადგენელია, თუმცა, ბიზნეს-აზროვნების მქონე სეგმენტში შემავალი ადამიანების 65% მამაკაცია. ბიზნეს აზროვნების მქონე მამაკაცების შემთხვევაში შესაბამისობის ქულა = $65\% \times 100 / 47\% = 140$.

დასკვნა:

40%-ით მეტია ალბათობა შევხვდეთ მამაკაცს ბიზნეს-აზროვნების მქონე სეგმენტში, ვიდრე ზოგადად მოსახლეობაში.

ინტერპრეტაცია:

- თუ შესაბამისობის ინდექსი 100-ზე მეტია, ეს ნიშნავს, რომ სამიზნე ჯგუფში შემავალი ადამიანების პროპორცია მეტია ბუნებაში არსებულ რაოდენობაზე.
- თუ შესაბამისობის ინდექსი 100-ის ტოლია, ეს ნიშნავს, რომ სამიზნე ჯგუფში შემავალი ადამიანების პროპორცია ტოლია ბუნებაში არსებულ რაოდენობაზე.
- თუ შესაბამისობის ინდექსი 100-ზე ნაკლებია, ეს ნიშნავს, რომ სამიზნე ჯგუფში შემავალი ადამიანების პროპორცია ნაკლებია ბუნებაში არსებულ რაოდენობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

Atkinson, A. and F. Messy (2012), "Measuring Financial Literacy: Results of the OECD / International Network on Financial Education (INFE) Pilot Study", *OECD Working Papers on Finance, Insurance and Private Pensions*, No. 15, OECD Publishing, Paris.

DOI: <http://dx.doi.org/10.1787/5k9csfs90fr4-en>

OECD/INFE (2015), "2015 OECD/INFE Toolkit for Measuring Financial Literacy and Financial Inclusion", OECD, Paris.

<http://www.oecd.org/daf/fin/financial-education/2015_OECD_INFE_Toolkit_Measuring_Financial_Literacy.pdf>

OECD/INFE (2016), "OECD/INFE International Survey of Adult Financial Literacy Competencies".

<<http://www.oecd.org/daf/fin/financial-education/OECD-INFE-International-Survey-of-Adult-Financial-Literacy-Competencies.pdf>>